სპორტი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 12 სექტემბერი 2003 №172 (1943) | ფასი 50 თეთრი

ყველაფერი ერთი დიდი სისულელით დამთავრდა



ბადრაგი კოშკურაზე ფოტო

ამ ორი დღის წინ რუსთავის კოლონიაში კოშკურაზე მდგომ ბადრაგთან პატიმარი მივიდა და, გადამახედეო, სთხოვა. ბადრაგმა კოშკურაზე ასვლის ნება დართო. ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ ის ბადრაგი დაჭრეს, მისი ამხანაგი მოკლეს, ასრალაცა პატიმარი კი კოლონიიდან გაიქცა.

მორალი ასეთია: თუ ბადრაგი ხარ, ბადრაგი იყავი და იმად ყოფნას ნუ ცდილობ, ვინაც სინამდვილეში არ ხარ.

იმავე საღამოს მერაბ ჟორდანიასა და მისი გუნდის მიერ გაწვრთნილმა საქართველოს ნაკრებმა ალბანეთში წააგო და ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის რაღაც ბუნდოვანი ვარიანტების გათვლაზეც ხელის აღება მოუხდა.

მორალი ამ ამბავსაც აქვს: როცა მწვრთნელი არ ხარ, მწვრთნელობას ნუ იჩემებ. როცა თამაში არ შეგიძლია, ნუ თამაშობ. როცა საქმეს წაახდენ, გულშემატკივარს რაღაც ბუნდოვან ვარიანტებზე ლაპარაკით ნუ აბრუებ. და საერთოდ, აკეთე ის, რაც იცი. მაგრამ...

რა იციან მათ, ვისაც ქართული ფეხბურთი აბარიათ? უფრო სწორად, კი არ აბარიათ, თავად დაიჩემეს, ჩვენ გვაბარიაო? აქ მხოლოდ ფედერაციის ხელმძღვანელობას არ ვგულისხმობთ, იმათაც, ყრილობებზე ამ ხელმძღვანელობას მანდატებს რომ უფრიალებენ.

მათ სულ უბრალო რამ არ იციან, ის, რომ ნებისმიერ გუნდს მწვრთნელი სჭირდება. აქ მაინცდამაინც ლუის ვან გაალზე და ფაბიო კაპელოზე არ ვამბობთ — თუნდაც ნაკლებსახელიან მწვრთნელზე, რომელსაც სამწვრთნელო სახელმძღვანელოები წაუკითხავს და იქ ამოკითხული რომელიმე გუნდში გამოუყენებია. ისე, როგორი დასაჯერებელია, რომ ქართული ფეხბურთის მესვეურებს ეს ელემენტარული რამ არ ესმოდეთ — ჩნდება სრულიად საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათ უბრალოდ არ აწყობთ კარგი მწვრთნელის მოყვანა. კარგ მწვრთნელს ხომ თავისი მოთხოვნები ექნება, რომელთა დაკმაყოფილებასაც ქართული ფეხბურთის მესვეურები არ ან ვერ გასწვდებიან.

და ფეხბურთელები? როცა თამაშის წინ ტრაბახობ, ამას ვიზამთ, იმას ვიზამთო, თამაშისას კი იქით გიშვრებიან და ეს მატჩიდან მატჩამდე, წლიდან წლამდე, ციკლიდან ციკლამდე გრძელდება, ან უხმოდ უნდა წახვიდე და ნაკრებში აღარ მობრუნდე, ან უნდა თქვა, რატომ თამაშობ კლუბში კარგად, ნაკრებში კი უსუსური ხარ.

მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი. ადამიანებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ქართული ფეხბურთი მათია, რომ გულშემატკივრები მათი მოვალეები არიან და ვალიდან ვერასდროს ამოვლენ, რამდენიც გინდა ეკამათე და უმტკიცე. უბედურება კი ისაა, რომ ყველაფერი გასდით.

ჰოდა, ილაპარაკე, რამდენიც გინდა. სანამ ქართული ფეხბურთი ასეთი ხალხის ხელშია, საქართველოს ნაკრებს არაფერი ეშველება. ვფიქრობთ, დრომ ეს უკვე დაამტკიცა.

ალექსანდრე ბუხაიძე

საქართველოს ნაკრები ქემალ სტაფას გასახდელში ბოლომდე გაშიშვლდა

გაყრა

ლომაიას ჩერნიშოვის სპარტაკი არ ელირსა



გადაღება ალექსანდრეს ფოტო

ახლახან თბილისის „ლოკომოტივიდან“ მოსკოვის „სპარტაკში“ გადასულ გიორგი ლომაიას ანდრეი ჩერნიშოვის ნახვა მაინც არ ელირსა. ტირანიდან მოსკოვში დაბრუნებულ ლომაიას ახალი კლუბის მთავარი მწვრთნელი გათავისუფლებული დახვდა. საქართველოს ნაკრების მეკარეს ახლა ვლადიმირ ფედოტოვთან მოუწევს საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება.

ეს ამბავი გუშინ დილით მოხდა. ოთხ დღეში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ორჯერ დამარცხებული რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი ანდრეი ჩერნიშოვი „სპარტაკის“ პრეზიდენტ სეხნია ჩერვიჩენკოს შეხვდა და გაყრაც შედგა.

შეგახსენებთ, რომ ვლადიმირ ფედოტოვი „სახალხო გუნდის“ მესამე ახალი მწვრთნელია ამ სეზონში — ჩერნიშოვამდე ჩერვიჩენკომ ლამის „სპარტაკის“ თილისმად ქცეული ოლეგ რომანცევი დაიფრინა. თუმც აქვე ისიც ვთქვათ, რომ ფედოტოვის დარიგებები გიორგი ლომაიამ შესაძლოა, დიდხანს ვერც მოისმინოს. ის მხოლოდ დროებით ჩაუდგა გუნდს სათავეში და არ არის გამორიცხული, მალე შემცვლელიც მოუძებნონ.

რუსული პრემიერლიგის საშუალოზე დაბალ ფენაში ჩალექილ „სპარტაკს“ კი მალე უეფას თასის მატჩებიც ელის.

ბახა შალამბერიძე

იტალია

სერია B. III ტური

ალბინოლეფე 1:2 ტერნანა	ფიორენტინა 1:1 ტრიესტინა
აველინო 0:0 პალერმო	ჯენოა 0:1 ლივორნო
ბარი 2:1 ტორინო	მესინა 1:1 ნაპოლი
კალიარი 3:0 პესკარა	პიაჩენცა 0:0 ატალანტა
კომო 1:4 კატანია	სალერნიტანა 0:0 ასკოლი
	ვენეცია 1:1 ვიჩენცა
	ვერონა 0:0 ტრევიზო

უეფა

სუპერფინალი გადადებული მატჩი

ასირისკა — ფრიოლუნდა გადაიდო

კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატი

მეოთხედფინალი

ესპანეთი 78:64 ისრაელი

საბერძნეთი 59:62 იტალია

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა“

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია **ტელ: 32 21 21**

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

საკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

ოცნებას ჯაბი არ მოუჯლავს, მაგრამ ოცნებაც დამთავრდა – საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა იოტისხელა შანსსაც სული შეუბერა ტირანაში.

თბილისში ჯი ნაკრებმა ალბანეთს ჯარგი აბრაგანი ამოსცხო და ამ საქმეში ერთ-ერთი მთავარი ჯაბი ალექსანდრე იაშვილი გახლდათ – მას გოლი არ გაუტანია, მაგრამ ორი გოლი, როგორც იტყვიან, სწორედ მან გააჯეთა...

ერთი თამაშიც და მორიგი ჩაფლავებული ციყლი დაუმთავრდება ჩვენს უპირველეს გუნდს, მაგრამ სათქმელს, თუნდაც ზოგადს, რა გამოლევს.

ალექსანდრე იაშვილს გუშინ ფრაიბურგში დავურეკეთ...

რუსეთი თავისთავად

ფინკე და საქართველო წარმოუდგენელია

— შეგიძლია თქვა, კონკრეტულად რისი ბრალი იყო ტირანაში წაგება?

— მეორე ტაიმში ჩვენი ცუდი თამაშის. რა თქმა უნდა, რევაზ ქემოკლიძის ტრავმამ და იძულებითმა შეცვლამ თავისი როლი შეასრულა, მაგრამ საქმე ისაა, რომ წინ დიდი ძალებით ადრე წავედით, დაცვა მოვაშიშვლეთ და უყურადღებობის გამო გოლები გავუშვით.

— 56-ე წუთზე შეგცვალეს — როგორ ფიქრობ, რატომ?

— ამას ახლა არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ისაა, რომ უნდა მოგვეგო და ვერ მოვიგეთ.

— ალბანეთთან თბილისურ მატჩში შენი თამაშით კმაყოფილი დარჩი?

— კი, მაგრამ კარგი იქნებოდა, გოლიც გამეტანა.

— ალბანეთთან ორივე შეხვედრაში უკანდაწეული შემტევი იყავი — მწვრთნელის ასეთი გადაწყვეტილება შენთვის მოულოდნელი იყო?

— არა, რადგან მანამდე შვეიცარიაში შევხვდი მიხეილ ყაველაშვილს და მაშინ შევიტყვე ყოველივე ეს. თავიდან ძალიან რთულად მეჩვენებოდა ასეთ პოზიციაზე თამაში, ეს უფრო ძნელია, ვიდრე თავდამსხმელობა, მაგრამ მეორე მხრივ, როცა უკნიდან თამაშობ, მეტი სივრცე გექმნება.

— „ფრაიბურგში“ მსგავს პოზიციაზე თამაშობ და ნაკრების მწვრთნელებმა ალბათ ამიტომაც გადაწყვიტეს შენი უკან დაწევა.

— შესაძლოა, მართლაც ამიტომ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება. მაგრამ „ფრაიბურგში“ ასე ძალიან უკან არ ვარ დაწეული — ფორვარდი ვარ, უბრალოდ, ოდნავ უკან დახეული.

— ციკლში ერთი მატჩიღა დაგვრჩა — თუ ცხრილს გადავხედავთ, რუსეთთან თამაშისთვის უმოტივაციოდ ვართ...

— ამ თამაშისთვის ჩვენი მოტივირება სულაც არაა ძნელი, იმიტომ რომ მეტოქე რუსეთია — შემართება თავისთავად მოვა.

— შემართების გარდა სხვა ფაქტორებს რაღა ვუყოთ?

— მთავარი შედეგია და მოტივაცია მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. რა თქმა უნდა, არის სხვა ფაქტორებიც — რუსეთთან ხომ ქართველი გულშემატკივრები ბლომად იქნებიან.

— როგორც გვპირდებიან, მომდევნო შესარჩევისთვის ჩვენს ნაკრებს აუცილებლად უცხოელი სპეციალისტი უხელმძღვანელებს. შეთავაზება რომ იყოს, „ფრაიბურგის“ მწვრთნელი ფოლკერ ფინკე არის ის კაცი, ბუნდესლიგა საქართველოს ნაკრების გულისთვის მიატოვოს?

— ფინკეს საქართველოს ნაკრებში მოწვევის შესახებ არაფერი მსმენია, მაგრამ თუ ფინკეს დაინტერესებენ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ისე კი, ვერ წარმომიდგენია, რომ ფინკე ასეთ რამეზე წავიდეს.

დავით თავართქილაძე

ალექსანდრეს ფოტო

ფეხბურთი

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

პირველი ლიგა

14 სექტემბერი

მეხუთე ტური

ამერი — ლოკომოტივი 2

თბილისი — სამტრედია

დასაწყისი 17 საათზე. დასწრება უფასოა

ყურადღება!

ფკ ამერის საფეხბურთო სკოლამ დაიწყო 1990-1996 წლებში დაბადებული ბავშვების მიღება

ჩვენი მისამართია: თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულის გადასახვევთან), ოლიმპიური რეზერვების სკოლის ტერიტორიაზე
ტელეფონი: 39-00-98, 899 78-19-24, 893 25-14-66



ეროვნული ბიბლიოთ...

ბაკურ ფალავანდიშვილის ფოტო

რა არის საქართველოში ყველაზე უიმედო? იმედი

იმედი უცნაური რამაა. ვინ იფიქრებდა, ირლანდიასთან წაგების შემდეგ ამ ნაკრებზე ვინმეს გული მოუბრუნდებოდა, მაგრამ მერაბ ჟორდანიას დამოძღვრილმა გუნდმა თავბრუ დაახვია ალბანელებს თბილისურ მატჩში, ირლანდია-რუსეთმა საჩვენო ფრე გააგორა და ჩახედა ხალხმა სატურნირო ვითარებას. მოვუგოთ ალბანეთს და გავდივართ — ერთ მატჩს ყველა თამაშობს, იქნებ რუსეთი კვლავაც გამოვიჭიროთო — ასეთი იყო ოთხშაბათ საღამომდე ბევრის მოსაზრება და ასეც უნდა ყოფილიყო, ხალხს იმედი სჭირდება, იმედი კი ბანგივითაა, რეალობას უცებ გავიწყებს. ასეთ პატარ-პატარა იმედებს ჩვენი ნაკრები სამომავლოდაც ბევრჯერ გაგვიჩენს და მაშინაც დაავიწყდება ბევრს რეალური ვითარება (თუმც ვინ იცის, სამომავლოდ ეგებ უკეთესი დრო დაუდგეს ქართულ ფეხბურთს).

ჩვენ კი სჯობს, ის ვიკითხოთ, რატომ ვერ გაჰყვა ნაკრებს შანსი და ქომაგს იმედი 11 ოქტომბრამდე.

ბევრჯერ თქმულა, რომ საქართველოს ჰყავს კარგი ფეხბურთელები და არასდროს ჰყოლია კარგი გუნდი. კარგ გუნდობას რომ ქართველთა კაიბიჭობა ვერ გასწვდება, თქმა არ უნდა. ალბანეთს არ ჰყავს ჩვენზე კარგი ფეხბურთელები, მაგრამ ჰყავს გუნდი და ამიტომაც წამოგვასკუპდა თავზე. ნაკრები რომ გუნდს ჰგავდეს, სულ მცირე, ისეთი მწვრთნელია საჭირო, რომელსაც ცოდნასთან ერთად დროც ექნება ფეხბურელებთან სამუშაოდ. გავიხსენოთ, რამდენი ასეთი მწვრთნელი ჰყოლია საქართველოს. ვერ გავიხსენებთ — არც ერთი.

მერაბ ჟორდანიამ სანაკრებო ქართველ მწვრთნელთა ტრადიციას არ უღალატა — მანაც გამარჯვებით დაიწყო, მაგრამ წინამორბედთაგან განსხვავებით, საოცრად მალევე წაავო. მერაბ ჟორდანია სფფ-ის პრეზიდენტია და შეუძლია, ნაკრებში სამუშაოდ განუსაზღვრელი დრო მისცეს საკუთარ თავს, მაგრამ ეს სიკეთეს ვერ მოიტანს და, რაც მთავარია, გუნდურობას ვერ შესძენს ნაკრებს, რადგან ჟორდანიას, ფაქტობრივად, არა აქვს სამწვრთნელო ცოდნა-გამოცდილება. ამ საქმეში იგი პროფესიონალი არ არის.

ნაკრების დროებით თავკაცად ჟორდანიას დანიშვნას ერთი სარგებლობის მოტანა მაინც შეეძლო. მერაბ ჟორდანია ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია, ფიფა-უეფაში თავისი წილი ავტორიტეტი აქვს და ავად თუ კარგად გარკვეულწილად ზემოქმედებაც უნდა შეძლებოდა ფეხბურთელებზე, თუმც ჟორდანიას მისმა რჩეულმა ბიჭებმა ჯერ კიდევ საალბანეთო თბილისური ვარჯიშისას აკადრეს ზედმეტი, როდესაც ვერაფრით შეთანხმდნენ, თუ ვინი მოსაზრებით გაეგრძელებინათ წვრთნა. ის სავარჯიშო ქაოსი მართლაც ნიშანდობლივი, საგანგაშო იყო, რადგან მნიშვნელოვანი მატჩის წინ ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელები ქუჩაში მოყაყანე ბავშვებს დაემსგავსნენ.

ტირანულ მატჩში კი სულაც სამარცხვინო რამ მოხდა — ჯანყი სათადარიგოთა სკამზე, ხმაურიანი, მუშტიკრივიანი და საქვეყნოდ სკანდალური. ვინ არის მომხდარზე პასუხისმგებელი? ალბანეთში ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი, სფფ-ის პირველი პირი და ნაკრების მთავარი მწვრთნელი ერთი პიროვნება — მერაბ ჟორდანია იყო.

ჩვენს ნაკრებს ელემენტარული დისციპლინა არ ჰქონდა ტირანაში (მარტო სათამაშოს არ ვგულისხმობ) და თუნდაც ამიტომ არ უნდა მოეგოთ. თბილისში ჩვენებს თამაში წაუვიდათ, ალბანეთი დათრგუნულ-მოდუნებული იყო და ამიტომაც მოვიგეთ და არა იმიტომ, რომ განსხვავებული, აქამდე არნახული ტაქტიკურ-სტრატეგიული გეგმით ითამაშეს ქართველებმა. გეგმა ალბანეთს ჰქონდა ოთხშაბათს და უპრობლემოდაც შეასრულა ოთხი დღით ადრე ინდივიდუალობით ფონს გასულ გუნდთან.

გამოუვალი გარემოება არ არსებობს. საამისოდ ბევრი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია, თუმცა რაღა შორს გავიხედოთ, უარესი სჭირდა ერთი თვის წინ რუსეთს. ჩვენზე ამბიციურ, შეძლებულ და მონდომებულ ნაკრებს შესარჩევი ეტაპი თავზე ენგრეოდა. იფიქრა კოლოსკოვმა და ზუსტად ისეთი კაცი მოძებნა, „ორთავა არწივს“ საპორტუგალიო იმედს რომ დაუბრუნებდა. ვითომ შემთხვევით გადარჩა რუსეთი? არა მგონია, შემთხვევითობა იყოს გიუმაჟ ირლანდიელებთან დუბლინში გაჩარხული ქულა და ჯგუფის ლიდერ შვეიცარიის საქვეყნოდ შერცხვენა. რუსეთს უნდოდა გაეკეთებინა და ისიც იცოდა, როგორ გაეკეთებინა, საქართველომ კი სათადარიგოთა სკამზე იჩხუბა.

რაც მართალია, მართალია, წლეულს საქართველოს ბოლოსწინა ტურამდე გაჰყვა იმედი. მოტივაციის თვალსაზრისით ეს ევროსშესარჩევი სარეკორდოა ჩვენთვის. უფრო ადრე ვამთავრებდით ხოლმე ბრძოლას, მაგრამ მაშინ ალბანეთი მაინც გვყავდა მოტოვებული...

მომავლის იმედით, მომავალ იმედამდე.

პაატა ძვანტალიანი

ბაბილ ძიძიგურის ფოტო

გაწევ-გამოწევა, გინება, მუქარა, ჩხუბი...

დღეს მთელ საქართველოს ის აინტერესებს, რა მოხდა, როგორ გაგრძელდა გახოკიძის ჯანყი „ქემალ სტაფას“ გასახდელში. არადა, ნორმალური ცნობიერებისთვის ეს არათუ საინტერესო, იმდენად ამაზრზენია, რომ ამაზე ფიქრიც არ გინდა. თუ საფიქრალ-საკითხავია, მხოლოდ ეს

რატომ?

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი

დესაიმ იკითხა და უპასუხა

ისრაელმა საფრანგეთს სლოვენია გაუტყავა



ჟაკ სანტინი და მისი საფრანგეთი პორტუგალიისკენ ტაშ-ფანდურით მიდიან

სლოვენია 0:2 საფრანგეთი

0:1 ტრეზეგე (10), 0:2 დაკური (71)

საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, დესაი, სილვესტრი, ლიზარაზუ, ვიეირა, მაკელელე, ზიდანი (პირესი 79), ვილტორდი (სანიოლი 75), ანრი, ტრეზეგე (დაკური 69)

მწვრთნელი: ჟაკ სანტინი

გაფრთხილება: კარიზი, ზიდანი, მაკელელე, კარიზი

გაძევება: მაკელელე (67), კარიზი (89)

მსაჯი: დ. მესინა (იტალია)

„პორტუგალიაში ფავორიტები ვიქნებით? — იკითხა ნამატჩევს მარსელ დესაიმ და თავადვე უპასუხა — არა, მე ასე არ ვფიქრობ, ჩვენ კიდევ შორს ვართ სათანადო ფორმისგან“.

„სამფეროვანთა“ კაპიტანს ნაკრების თამაშის ხარისხი, სლოვენიასთან მოგების და ევრო 2004-ის საგზურის განაღდების შემდეგაც კი არ აკმაყოფილებს. არადა, გადახედეთ შემადგენლობას და ერთ სუსტ წერტილს ვერ იპოვით. მარსელ დესაი იმდენად პროფესიონალია, რომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონისგან განუწყვეტლივ ფორმის დახვეწას ითხოვს.

ჟაკ სანტინის დარჩენილ ორ მატჩში ოდენ ქულა ჰყოფნიდა. შეეძლო კიდეც დიდი ბიჭების დასვენება, მაგრამ თერთმეტივე უძლიერესი ლუბლიანაში ჩაიყვანა.

ფრანგებმა ის ფეხბურთი აჩვენეს, რომლის წყალობითაც ექვს მატჩში 24 გოლი მიითვალეს. ბურთის საამოდ გორებას სტუმრები მატჩის დასაწყისშივე შეუდგნენ და მეტოქე ასართმევად არბენინეს. ზიდანმა ანრის უმალ გაუჩარხა კარგი პასი და „მეთოფის“ დარტყმული სიმუენოვიჩის კარს მცირედით ასცდა.

სამაგიეროდ, ტურინიდან ჩასულმა დევიდ ტრეზეგემ არ ააცილა. ლილიან ტურამის ჩვეული მარჯვენაფლანგური იერიში სილვენ ვილტორდმა გააგრძელა და იუვენტუსელს ბურთი საჯარიმოში მიართვა. ტრეზეგემ ალექსანდრ კნავსი ბავშვივით მოიცილა და ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა.

სლოვენია ცდილობდა, მომენტებს კი ისევ ფრანგები ქმნიდნენ. შესვენებამდე ანრის და ტრეზეგეს სიმეუნოვიჩის დამწუხრება სულ ცოტა, თითოჯერ კიდევ შეეძლოთ.

შესვენების შემდეგ მატჩის ხასიათი არ შეცვლილა. გასულ შაბათს ისრაელის წინააღმდეგ თავგამოჩენილი ზლატკო ზახოვიჩი „სამფეროვანთა“ მცველებში ჩაიკარგა. სტუმართა ნახევარდაცვა სერიოზული ხარვეზების გარეშე თამაშობდა და ვითარებას აკონტროლებდა.

კლოდ მაკელელეს შეხვედრის დაწყებიდან ერთ საათში, ეტყობა, ხალისი დაეკარგა და დომენიკო მესინამაც მოედანზე ყოფნა არ დააძალა — წითელი ბარათი აჩვენა და დასასვენებლად გაისტუმრა.

კაცნაკლულობა ფრანგებს არ დასტყობიათ, რადგან შეცვლაზე შესულმა ოლივიე დაკურმა ოთხ წუთში ანრისთან გათამაშებული კომბინაცია გოლით დაასრულა.

„ძალიან მძიმე ბრძოლას ველოდი და ასეც იყო — თქვა ჟაკ სანტინიმ — შეიძლება ითქვას, რომ შესარჩევ ციკლში ყველაზე მძიმე მატჩი გადავიტანეთ. ჩვენმა მცველებმა გადასარევად ითამაშეს“.

„ისრაელის დამარცხების შემდეგ ბიჭებს ძალების აღდგენა გაუჭირდათ და სუსტად ამიტომაც გამოიყურებოდნენ“ — აღნიშნა ბოჟან პრაშნიკარმა.

ვაჟა ხუციშვილი

ისრაელი 2:2 მალტა

1:0 რვეიკო (16), 1:1 ბიფსუდი (51ბ), 1:2 კარაბოტი (52), 2:2 ბალილი (78)

საფრანგეთი	7	7	0	0	26:2	21
სლოვენია	7	4	1	2	13:10	13
ისრაელი	7	2	3	2	9:8	9
კვიპროსი	7	2	1	4	7:16	7
მალტა	8	0	1	7	5:24	1

11 ოქტომბერი

კვიპროსი — სლოვენია

საფრანგეთი — ისრაელი

დანია 2:2 რუმინეთი

1:0 ტომასონი (35ბ), 1:1 მუტუ (62), 1:2 პანჩუ (72), 2:2 ლაურსენი (90)

დანია: სორენსენი, ჰენრიკსენი, ლაურსენი, ნ. იენსენი, ჰელვეგი, გრავესენი, იორგენსენი, გრონკიაერი (რომედალი 81), ტომასონი, ვიგჰორსტი (პოულსენი 64), სანდი

რუმინეთი: ლობონტი, სტოიჩანი, რატი, იენჩი, რადუ, კივუ, დ. მუნტიანუ, დუმიტრუ (ჩერნატი 70), განეა (ბრატუ 68), მუტუ (სოავა 90), პანჩუ

გაფრთხილება: მუნტიანუ, დუმიტრუ, გრონკიაერი, მუტუ

მსაჯი: უ. მეიერი (შვეიცარია)

ლუქსემბურგი 0:1 ბოსნია

0:1 ბარბარესი (36)

პორტუგალიის საგზური მატჩის განმავლობაში აქეთ-იქით დახტოდა. დაახლოებით ნახევარი საათის მანძილზე მას ვიკინგები ფლობდნენ. მეორე ტაიმის ათწუთიან მონაკვეთში საგზური რუმინელებმა მოიხელთეს, საბოლოოდ კი გარჩევა 11 ოქტომბრისთვის გადაიდო. ანგელ იორდანესკუსთვის შესარჩევი ციკლი დასრულდა. გენერლის ბედს ბოლო ტური გადაწყვეტს.

შეხვედრის დაწყებიდან ათიოდ წუთში 42 ათასი გახარებული ქომაგი ფეხზე წამოხტა. მათ ეგონათ, რომ ნიკლას იენსენის დარტყმული ბურთი კარში შევარდა და გოლს ზეიმობდნენ, ბურთი კი თურმე ბადეს გარედან მოხვდა.

მასპინძელთა შორის მილანელი იონ დალ ტომასონი გამოირჩეოდა. დანიელებიც თამაშს მასზე აწყობდნენ. ფორვარდმა მცველები გვარიანად შეაწუხა და ურს მეიერს ჰენალტიც დასტყუა. დალ ტომასონი საჯარიმოში ადრიან იენჩიმ დასცა. თერთმეტმეტრიანი თვითონ დაზარალებულმა უზადოდ შეასრულა.

II ჯგუფი

სამი მტირალა ბიჭი

გენერალს სორენსენი ელანდება

რუმინელმა ვლადიმირ სტოიკამ მარტინ იორგენსენი ბურთთან არ მიუშვა

რუმინელები მეორე ტაიმის დასაწყისში გამოსწორდნენ. ტემპს უმატეს და სწრაფი მოძრაობის ხარჯზე „ვიკინგთა“ ნახევარზე დამკვიდრდნენ. შედეგად დანიელთა კარს ორჯერ დაემუქრნენ. რაზვან რატის წამოწყებული შეტევა იოან განეას დარტყმით დასრულდა. მერე კრისტიან კივუმ ლაზათიანად უთავაზა და სანამ მეკარე გონს მოეგებოდა, ნიკლას იენსენმა ბურთი კარის ხაზიდან გააძევა.

სტუმართა მონდომებას ამაოდ არ ჩაუვლია. ფლორენტინ დუმიტრუს კარს ორჯერ დაემუქრნენ. რაზვან რატის წამოწყებული შეტევა იოან განეას დარტყმით დასრულდა. მერე კრისტიან კივუმ ლაზათიანად უთავაზა და სანამ მეკარე გონს მოეგებოდა, ნიკლას იენსენმა ბურთი კარის ხაზიდან გააძევა.

იშტაზე მოსულმა სტუმრებმა იგრძნეს, რომ „ვიკინგებს“ იარაღი დაუბლაგვდათ და მეტად გულმოსულებმა შეუტიეს. ამასობაში მორტენ ოლსენმა ტრავმით დატანჯული სეხსნია ვიგჰორსტი კრისტიან პოულსენით შეცვალა. მოედანზე შესვლიდან რვა წუთში პოულსენი შეცდა. მისი ნათავურალი ბურთი დანიელ პანჩუს ერგო და მანაც ზუსტად დაჰკრა— 1:2.

მასპინძლებს კუდი აეწვათ და მატჩის დარჩენილი დრო უკანმოუხედავად შეტევაში გაატარეს. ასეთ დროს მეტოქეს კონტრიერიშის კარგი შანსი ეძლევა. რუმინელებმა შეხვედრის მიწურულს სამი ასპროცენტიანი შანსი გაანიავეს. ერთიც რომ გამოეყენებინათ, ალბათ სამ ქულას მიითვლიდნენ. სტუმრებმა რომ ვერ გაიტანეს, ტომას სორენსენის დამსახურებაა, რომელმაც ურთულესი ბურთები მოიგერია. ფლორინ ბრატუ, მისი სეხნია ჩერნატი და ადრინ მუტუ დანიელმა მეკარემ ხელმოცარული დატოვა. ჩამოთვლილ ბიჭებს ეს მომენტები დიდხანს დაამახსოვრდებათ. ისინი უნიათობისთვის მარტინ ლაურსენმა დასაჯა. მილანელმა ებე სანდის თავით დაგდებულ ბურთს მძლავრად დაარტყა და ბოგდან ლობონტის კარში გამოამწყვდია.

„იღბალი და ტომას სორენსენის თავგანწირვა რომ არა, უეჭველად დავმარცხდებოდით“ — თქვა იონ დალ ტომასონმა, მორტენ ოლსენმა კი დასძინა: „ფორტუნა აშკარად ჩვენს მხარეს იყო, რადგან რუმინელებმა მეორე ტაიმში თამაშით გვაჯობეს და წაგებას ბოლო წუთზელა გადავურჩით“.

ბოსნია-ჰერცოგოვინა მოკრძალებული ანგარიშით, მაგრამ მაინც სძლია ლუქსემბურგს. ამის გამო ჯგუფში ვითარება კიდევ უფრო ჩაიხლართა და ევროპის ჩემპიონატზე პირდაპირ წამსვლელი ოქტომბერში გაირკვევა.

ვაჟა ხუციშვილი

დანია	7	4	2	1	14:8	14
რუმინეთი	8	4	2	2	21:9	14
ბოსნია	7	4	0	3	6:7	12
ნორვეგია	7	3	2	2	8:5	11
ლუქსემბურგი	7	0	0	7	0:20	0

11 ოქტომბერი

ნორვეგია — ლუქსემბურგი

ბოსნია — დანია

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

III ჯგუფი

ედგარ დავიდსმა კარელ პობორსკი საპენალტედ წააქცია

პირველ-მეორეზე გაითვალეს

ჩეხეთი 3:1 ჰოლანდია

1:0 კოლერი (15პ), 2:0 პობორსკი (38), 2:1 ვან დერ ვაარტი (62), 3:1 ბაროში (90)

ჩეხეთი: ჩეხი, გრიგერა (ჰუბშმანი 25), იუფფალუში, გალაშეკი, ბოლფი, შმიცერი (ვაპუშეკი 81), პობორსკი, კოლერი, როსიცკი (ბაროში 60), ნედვედი, ფირანეკი

მწვრთნელი: კარელ ბრუკნერი

ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, სტამი, ფ. დე ბური (ოიერი 46), კოკუ, ვან ბომელი, ოვერმარსი (ბოსველტი 20), ვან ნისტელროი (ვან ჰოიდონკი 71), კლუივერტი, ვან დერ ვაარტი

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

გოლებისლება: დავიდსი, იუფფალუში, ბოლფი, ვან ნისტელროი, ვან ბომელი

გაძევება: დავიდსი (8)

მსაჯი: ჯ. ბატისტა (პორტუგალია)

ჩეხები ევროპის ჩემპიონატზე არიან — მესამე შესარჩევ ჯგუფში პირველი ადგილის ბედი პრაღაში ჰოლანდიის 3:1 ძლევამ გადაწყვიტა. თამაშის წინ მეტოქეებს ტოლად 16 ქულა ჰქონდათ და შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ისე გამოდიოდა, რომ გამარჯვებული მიუწვდომელი ხდებოდა. მიუწვდომელნი გოლის ავტორები, იან კოლერი, კარელ პობირსკი, მილან ბაროში და მათი თანაგუნდელები გახდნენ, და კიდევ, რაც ჩეხთა ეროვნულ გუნდს სათავეში კარელ ბრუკნერი ჩაუდგა, 17 თამაშია დამარცხების სიმწარე აღარავის ახსოვს.

„ვიცოდით, რომ მოგება პორტუგალიის საგზურს მოგვიტანდა და სხვაზე ვერაფერზე ვფიქრობდით. არ გვინდოდა, თუნდაც ერთი წამით დაგვეხია უკან, რადგან ჰოლანდიელებისთვის შეტევის საშუალება ერთხელაც რომ მიგვეტა, მერე ჩვენი საჯარიმოს მისადგომებს აღარ მოშორდებოდნენ“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ჩეხთაგან ყველაზე ცნობილმა, „იუვენტუსის“ გამთამაშებელმა პაველ ნედვედმა.

მატჩის დასაწყისი ჰოლანდიელებისათვის საშინელი გამოდგა, რადგან ნედვედის თანაკლუბელი, ედგარ დავიდსი მე-13 წუთზევე გაამეორეს, თან ორი ყვითელი ბარათის გამო. მეორე ყვითელი (ანუ წითელი), პორტუგალიელმა მსაჯმა ლუსილიო კარდოსო კორტეს ბატისტამ ჰოლანდიელთა საჯარიმო მოედანში აღმართა და თითი პენალტის ნიშნულისკენაც მიმართა — ასე გახსნა კოლერმა ანგარიში.

„ცუდად დავიწყეთ, პასები არ გვივარგოდა, ერთი კაცი იმთავითვე დაგვაკლდა და ეს ყველაფერი ისეთი ძლიერი დაცვის მქონე გუნდის წინააღმდეგ, როგორიც ჩეხეთია“ — თქვა ნარინჯისფერთა კაპიტანმა ფრანკ დე ბურმა.

მაგრამ ჰოლანდიელები დანებებას არ აპირებდნენ და ბურთის კონტროლით მოწინააღმდეგის კარისკენ გაწევას ცდილობდნენ, რაც ერთის მხრივ, გამოსავალი იყო, მაგრამ მეორე მხრივ, მასპინძლებს კონტრშეტევის საშუალებას აძლევდა. 38-ე წუთზე ნედვედის პასით ცნობილმა კარელ პობორსკიმ (რომლის წექცევისთვისაც დაინიშნა კოლერის მიერ შეგდებული თერთმეტმეტრიანი დარტყმა) ანგარიში ორამდე გაზარდა.

იმედი ჰოლანდიელებს 61-ე წუთზე მიეცათ — რაფაელ ვან დერ ვაარტმა სხვაობა შეამცირა და გაჩნდა ფიქრი, რომ ნარინჯისფერები 15 წაუგებელი მატჩის მერე მეთექვსმეტეშიც არ დამარცხდებოდნენ. დიკ ადვოკაატმა 70-ე წუთზე რუუდ ვან ნისტელროი პირ ვან ჰოიდონკით შეცვალა — იფიქრა შეტევებს ასე უფრო გაამწვავებდა — მაგრამ მისდა სამწუხაროდ, ყველაფერი პირიქით მოხდა, გოლი ისევ ჩეხებმა შეაგდეს, რისი მიზეზიც სტუმარ მცველთა თავისი საჯარიმოდან მეტისმეტად შორს გასვლა გახლდათ.

მატჩის შემდეგ დიკ ადვოკაატმა განაცხადა: „ჩვენ არ შევრცხვენილვართ, ჩვენ ცამეტი წუთის შემდეგ ათნი დავრჩით მოედანზე და მაინც ვფლობდით უპირატესობას. კარგად ვითამაშეთ, მაგრამ როგორც გვინდოდა საქმეები ისე არ წაგვივიდა და ამიტომ დღეიდან პლეი ოფზე ვიწყებთ ფიქრს“.

პაპუნა კედია

მოლდოვა 2:1 ბელარუსი

1:0 დადუ (23), 2:0 კოვალჩუკი (88), 2:1 ვასილიუკი (90პ)

ჩეხეთი	7	6	1	0	20:3	19
ჰოლანდია	7	5	1	1	15:6	16
ავსტრია	7	3	0	4	10:11	9
მოლდოვა	7	2	0	5	5:14	6
ბელარუსი	8	1	0	7	4:20	3

11 ოქტომბერი

ავსტრია — ჩეხეთი

ჰოლანდია — მოლდოვა

IV ჯგუფი

რა გეჩორძოვებოდათ?

მსაჯმა კაპიტანი ორ ნაწილად დაშალა

პოლონეთი 0:2 შვედეთი

0:1 ნილსონი (2), 0:2 მელბერგი (36)

პოლონეთი: დუდეკი, კლოსი, სობოლევსკი, ფეტლაკოვი, ფიკოვიაკი, ბაკი, ბაიტო, კრეინოვეკი, ლეგანდოვსკი (კოსოვსკი 68), საგანოვსკი (რაშიაკი 64), ფურაგსკი (კრიშალოვიჩი 73)

შვედეთი: ისაკსონი, ლუკიჩი, მელბერგი, ჰ. სვენსონი, ედმანი, იაკობსონი, ნილსონი, ა. სვენსონი, ლიუნგბერგი, ოლბოკი (იბრაჰიმოვიჩი 87), ოლსონი (ანდერსონი 84)

გაძევება: ბაიტო (63)

მსაჯი: ჰ. რაილი (ინგლისი)

შვედებმა შარშან მსოფლიოს ჩემპიონატი დააჭაშნიკეს, მომავალ ზაფხულს კი პორტუგალიას ეწვევიან. სკანდინავიელებმა შესარჩევი ციკლის დასრულებამდე ტურით ადრე ევრო 2004-ის საგზური პოლონეთში გამარჯვებით გაინაღდეს.

მასპინძლები მეტოქეს დედაქალაქში კი არა, მოკრძალებულ ჩორძოვში დაუხვდნენ. პროვინცია პოლონელებს ცუდად შეეგება. მესამე წუთზე სტუმრები უკვე იგებდნენ. საგოლე კომბინაციამ ოთხი კაცი გაიარა. სვენსონმა ბურთი იონსონს დაუგორა, რომელმაც დარტყმა ვერ მოახერხა, იგი ნილოსნმა დაუზღვია და ირეი დუდეკს გაუტანა.

გაოგნებული პოლონელების მოსულიერებას მცირე დრო დასჭირდა. ტაიმის შუაწელში თამაში გამოასწორეს და ერთი კარგი მომენტიც შექმნეს. მარცხენა ფლანგიდან იაცეკ კრეინოვეკი საჯარიმოში შეენთო, გზად ტედი ლუკიჩი ჩამოიცილა და ლაზათიანად დაჰკრა. ანდრეას ისაკსონის ხელიდან მოგერიებულ ბურთს მარიუშ ლევანდოვსკიმ კი მიუსწრო, მაგრამ უშნოდ დაამატა და ააცილა.

შესვენებამდე მასპინძლები გათანაბრებას ამაოდ ეცადნენ. ტაიმის დასრულებას ცხრა წუთი აკლდა, სტუმრებმა კუთხური რომ მოინადირეს. ანდრეას სვენსონმა კარის წინ ჩააწოდა და ოლაფ მელბერგმა თავურით მეორე გაიტანა.

პოლონელები მოიქუფრნენ და უხეშობა დაიწყეს. „ახალ ლარსონად“ მონათლულ მარკუს ოლბოკს დამხვდურთა კაპიტანმა ტომაშ ბაიტომ იდაყვი აგემა. მსაჯმა კაპიტანი და სამკლავური წითელი ბარათის ძალით ერთმანეთს დააშორა. კაცნაკლებობამ მასპინძლები უფრო შეადუღაბა და სკანდინავიელებს გააფთრებით შეუტიეს. შეცვლაზე შესულმა რასიაკმა თანაგუნდელთა იერიშები გაამრავალფეროვნა, კრეინოვეკთან წყვილში მეტოქის საჯარიმოში ხშირად სტუმრობდა კიდეც, მაგრამ ამაოდ.

თავის მხრივ შვედებიც არ მსხდარან მოწმეებივით. უკაპიტნო დამხვდურებს მარკუს ოლბოკი სამჯერ დაუსხლტათ კონტრშეტევისას, მაგრამ შვედს გოლის გატანა არ ეღირსა.

„ჩვენ ბრწყინვალედ ვითამაშეთ — თქვა სტუმართა მწვრთნელმა — ჩემმა გუნდმა ხასიათი გამოავლინა და გადამწყვეტ მატჩში დამაჯერებლად გაიმარჯვა. ვიცოდით, რომ უნგრეთი დამარცხდა და პოლონეთში მოგებით პორტუგალიის საგზური გვერგებოდა. ამის გამო, ოდნავ ზეწოლას კი ვგრძნობდით, მაგრამ ბიჭებმა თავიანთი საქმე პროფესიონალისთვის საკადრისად შეასრულეს. 11 ოქტომბერს ბოლო შეხვედრა ლატვიასთან გველის და შევეცდებით, გულშემატკივრები საამო ფეხბურთით ვასიამოვნოთ“.

მაია ხუციშვილი



ბოლონელთა კაპიტანმა ტომაშ ბაიტომ (№7) ხელები ისე იჭნია, გასაძევებელი შეიჭნა

ალექსანდრ ამაყი

სტარკოვმა ბუდაპეშტი ქსეროქსზე გადაიღო

ლატვია 3:1 უნგრეთი

1:0 ვერპაკოვსკისი (38), 2:0 ბლეიდელისი (42), 3:0 ვერპაკოვსკისი (51), 3:1 ლისტეში (53)

იმრე გელეი იქადნებოდა, ლატვია ის გუნდია, რომელთანაც ექვსი ქულა უპრობლემოდ უნდა ავიღოთ. უნგრელთა მწვრთნელის ბაქიაობამ ბალტიისპირელებზე ვიაგრასავით იმოქმედა და მეტოქე კუდამოძუებული გაისტუმრეს. ბუდაპეშტში მარცხისთვის მასპინძლებმა სტუმრებს სამაგიერო იუველირის სიზუსტით გადაუხდეს. ლატვიამ უნგრეთში 1:3 წააგო და გუშინწინ კი მოწინააღმდეგეს სწორედ ამ ანგარიშით სძლია. ალექსანდრ სტარკოვის შეგირდებმა მეორე ადგილზე გადაინაცვლეს და პლეი ოფში მოხვედრის კარგი შანსი აქვთ. ბოლო ტურში ჯგუფის ყოჩ შვედეთს სტუმრად თუ მოუგებენ, მეორე ადგილის შემცილებელი არ ეყოლებათ. შვედებმა ევრო 2004 უკვე დაიბევეს და ლატვიელებთან ეგებ თავი აღარც შეიწუხონ.

რიგაში მატჩი სტუმართა შეტევებით დაიწყო. სანამ მასპინძლები დალაგდებოდნენ, იმრე საბიჩს თავისების დაწინაურება ორჯერ შეეძლო, მაგრამ ორჯერვე უშნოდ დაარტყა. ტაიმის შუაწელიდან ლატვიელები გააქტიურდნენ და შესვენებამდე პირველი გოლი გამოჩარხეს. მარის ვერპაკოვსკისმა საჯარიმოში შეინავარდა, სამი მცველი გამოაქანდაკა და გაბორ კირალის კარში ბურთი გამოამწყვდია.

„სკონტოს“ სტადიონზე შეკრებილმა რვა ათასამდე კაცმა მალე მეორედ იხუვლა. კუთხურიდან ანდრეის რუბინსის ჩაწოდებულ ბურთს იმანტს ბლეიდელისმა უთავაზა და ანგარიში გაზარდა.

მასპინძლებმა უნგრელებს მეორე ტაიმის დასაწყისში გონს მოსვლა არ აცალეს. ასტაფიევსისა და რიმკუსის მოქსოვილი კომბინაცია ვერპაკოვსკისმა მესამე გოლით დაასრულა.

სამბურთიანი სხვაობით გამოწვეულმა სიხარულმა ბალტიისპირელები ისე გადარია, რომ ყურადღება მოადუნეს და ერთადერთი საპასუხო გოლი მყისვე გაუშვეს. იმრე საბიჩმა კრისტიან ლოგისტეში ხელსაყრელ პოზიციაში დატოვა და კოლინკო ლისტეშის დარტყმულს ვერ შესწვდა.

შეხვედრის დარჩენილ დროში მეტოქეებს არაერთი კარგი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ამ გუნდების ორივე მატჩს ალბათ მსგავსი ანგარიშით დასრულება ეწერა.

ლატვიელთა მწვრთნელი ალექსანდრ სტარკოვი, ცხადია, კმაყოფილი იყო: „ჩვენ საკმაოდ ძლიერ მოწინააღმდეგეს ვძლიეთ. მე ჩემი ნაკრებით, გულშემატკივრებითა და ქვეყნით ვამაყობ. მადლიერი ვარ მათი, ვინც მხარში გვედგა“.

იმრე გელეი: „ლატვიელებს ვუულოცავ და აქვე ვაღიარებ, რომ უეჭველ გამარჯვებას ვგეგმავდით. ყველა გოლი კონტრშეტევისას გავუშვით და ამ კომპონენტში მასპინძლებმა ნამდვილად გვაჯობეს“.

მაია ხუციშვილი

შვედეთი	7	5	2	0	19:2	17
ლატვია	7	4	1	2	9:6	13
უნგრეთი	7	3	2	2	14:7	11
პოლონეთი	7	3	1	3	9:6	10
სან მარინო	8	0	0	8	0:30	0

11 ოქტომბერი

უნგრეთი — პოლონეთი

შვედეთი — ლატვია

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

V ჯგუფი

გერმანია 2:1 შოტლანდია

1:0 ბობიჩი (25), 2:0 ბალაკი (50პ), 2:1 მაკკენი (60)
გერმანია: კანი, ფრიდრიხი, ბაუმანი, �ორნსი, შნაიდერი (კელი 81), რემერი, რამელო, რაუ, ბალაკი, ბობიჩი (კლოზე 76), კურანი
მწვრთნელი: რუდი ფიოლერი
შოტლანდია: დუგლასი, მაკნამარა, ნეისმიტი, მაკფადენი (რაე 53), პრესლი, მაკკენი, დეილი, ლამბერტი (როსი 46), ბ. ფერგიუსონი, კამერონი, ტომპსონი
მწვრთნელი: ბერტი ფოგთსი
გაძევება: როსი (66)
მსაჯი: ბ. ფრისკი (შვედეთი)

„ვემბლიზე“ ბუნდესნაკრებს არასოდეს წაუგია და ტრადიცია დორტმუნდში ამჯერადაც არ დარღვეულა. „ბრწყინვალე მატჩი გამოდგა — აღმოხდა გამარჯვებით სულმოთქმულ რუდი ფიოლერს — თამაშის სანახავად მოსულ გულშემატკივრებს ფული ტყუილად არ გადაუყრია.

ჩვენთან ხარისხი ფასზე მაღალია

ათ. ვფიქრობ, რომ მათ ისიამოვნეს.“

გერმანიის ნაკრების გამარჯვებამ ქვეყანა ოდნავ დაწყნარა. რუდი ფიოლერს კრიტიკოსები მოაკლდა თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ მისმა გუნდმა მოიგო და პირველ ადგილზეა. ეგებ ქომაგები ახლა მაინც დაცხრნენ. 2:1 მოკრძალებული ანგარიშია, თუმც ისლანდიურ უგოლო ფრეს ნამდვილად სჯობს. ბუნდესმწვრთნელმა ხალხის გასაგონად ადრეე თქვა, რომ აბსურდია, როცა ყველა მატჩში მისგან 5:0 გამარჯვებას ითხოვენ.

მასპინძლებს გაცილებით მეტი გოლის გატანა შეეძლოთ, მაგრამ მეკარე რობერტ დუგლასმა შოტლანდიელები არაერთხელ იხსნა. ტაიმის შუაწელში მეტოქე ფეხბურთელებისგან შეღონებულმა დუგლასმა ფრიდრიხის დარტყმული მოიგერია, მაგრამ ბურთი კურანის მიუცუცქდა და მისი პასით ფრედი ბობიჩმა შეაგდო.

შესვენების დროს ბერტი ფოთსმა კაპიტანი პოლ ლამბერტი შეცვალა. სტუმართა თამაშს ეს მყისვე დაეტყო, რადგან ბუნდესნაკრებმა მთლად გაილაღა და ერთ ეპიზოდში სტივენ პრესლიმ ბალაკი საჯარიმოში ხელით დაიჭირა. ანდრეს ფრისკმა პენალტი დანიშნა და ბალაკმა თერთმეტი მეტრიდან ზუსტად დაარტყა. მასპინძლებმა მეტოქის საბოლოოდ მოხრჩობა რომ გადაწყვიტეს, სწორედ მაშინ საპასუხო გაუშვეს. სტივენ ტომპსონის ჩაწოდებულ ბურთს ნეი მაკკენმა კანის კარში დააბინავა.

ექვს წუთში შეცვლაზე შესული როსი გააძევეს. მან ტობიას რაუსთან ჭიდაობისას ორი ყვითელი ბარათი მოაგროვა. კაცმეტმა გერმანიამ შეტევებს თავი უკეთესად გაართვა, მაგრამ მოთამაშეებმა აურაცხელი მომენტი დაღუპეს. კევინ კურანი მეკარეს პირისპირაც კი შეხვდა, მაგრამ დუგლასი იმ დღეს სტუმართაგან საუკეთესო იყო.

ნამატჩევს რუდი ფიოლერი და ბერტი ფოგთსი ერთმანეთს ძმებივით გადაეხვევნენ

„გერმანელებს საკადრისი წინააღმდეგობა გავუწიეთ. ჩემს ბიჭებს საკუთარი ძალების სწამთ და ამიტომაც ქულის წაღება გვეწადა. ახლა ლიტვასთან გამარჯვებაზე ვფიქრობთ. დარწმუნებული ვარ, შოტლანდიაში ფეხბურთი სწორი გზით მიდის.“

ᲒᲐᲪᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲤᲐᲠᲔᲠᲔᲑᲘ 1:3 ᲚᲘᲢᲕᲐ

0:1 მორინასი (23), 1:1 ოლსენი (43), 1:2 მორინასი (57), 1:3 ვინცევიჩიუსი (88)

გერმანია	7	4	3	0	10:4	15
ისლანდია	7	4	1	2	11:6	13
შოტლანდია	7	3	2	2	11:8	11
ლიტვა	7	3	1	3	7:10	10
ფარერები	8	0	1	7	7:18	1

11 ოქტომბერი
შოტლანდია — ლიტვა
გერმანია — ისლანდია

VI ჯგუფი

ელჩედან ლისაბონში

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ 2:1 ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ

1:0, 2:0 რაული (59, 71), 2:1 შევჩენკო (84)
ფურნანდო ტორესმა ჯერ გაიტანა პენალტი (54)
ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ: კასილიასი, სალგადო, ხუანტო, მარჩენა, პუიოლი, ეჩებერია, ხაბი ალონსო, ბაჰახა (ხავი 85), ვისენტე (ვალერონი 64), რაული, ტორესი (რეიესი 64)
მწვრთნელი: ინაკი საესი
ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ: შოვკოვსკი, ლუჟნი, ფიოდოროვი, ტიმოშჩუკი, ნესმაშნი, დმიტრულინი (ზუბოვი 65), შევჩენკო, პობოჟი (სურგბრენიკოვი 18), გორშკოვი, ვორონინი (გუსევი 52), ვორობეი
მწვრთნელი: ლეონიდ ბურიაკი
მსაჯი: ტ. ჰაუგე (ნორვეგია)

„მარტინეს ბალეროზე“ უკრაინა ინაკი საესის ესპანელებთან დამარცხდა და პორტუგალიურ ევრო 2004-ს საბოლოოდ გამოემშვიდობა. არადა, ბრძოლა მართლაც ფიცხელი გამოდგა. მომხვდურებს ვერც ტრავმამოშუშებული „მილანელი“ ბრილიანტის, ანდრეი შევჩენკოს ეფექტურმა გოლმა არგოთ რამე და ვერც ანდრეი შავკოვსკის მიერ უკუგდებულმა თერთმეტმეტრიანმა საჯარიმომ.

ესპანეთის ნაკრების მაისურებში გამოწყობილი 32 ათასი ქომაგი თამაშის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე შეიკრიბა „მარტინეს ბალეროზე“ და მხიარული წინასაგამარჯვებო ფიესტა მოაწყო. განსაკუთრებით შთამბეჭდავად ტრიბუნაზე გამოფენილი უზარმაზარი სანაკრებო ფორმა გამოიყურებოდა, კასტილიელებს ზემოთ ნახსენები მაისურებისგან ოსტატურად რომ შეეკერათ და შეეკავშირებინათ.

თავად მატჩი კი მასპინძელთათვის არცთუ ისე იოლი ლუკმა გამოდგა და თვით ყველაზე ოპტიმისტ პირნეელ ფანატებსაც კი მრავალჯერ მწარედ შეუტოკდათ გული. პირველი წუთები ესპანელთა შეტევებით დაიწყო, მაგრამ არც უკრაინელები აპირებდნენ ყრუ დაცვაში ჩაჯდომას და იკერ კასილიასსაც ხშირად უწევდა მათი ახლოს შეთვალიერება. მე-18 წუთზე რუბენ ბარახას ყუმბარისებურ დარტყმას 37-ეზე ვორონინის გასროლა მოჰყვა. ესპანელმა შოვკოვსკის კარს ოდნავ ააცილა, ხოლო უკრაინელმა კასილიასის წინაღობის დაძლევა ვერ შეძლო. ორივე გუნდის ფეხბურთელები ცდილობდნენ გოლის შეგდებას, მაგრამ პირველი ნახევარი მშრალად ჩაამთავრეს. მეორე ტაიმში მასპინძლებს გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი მიეცათ — 52-ე წუთზე დმიტრულინმა საკუთარ საჯარიმოში ეჩებერია დასცა და ნორვეგიელ არბიტრ ტარიე ჰაუგესგან პენალტით „დასაჩუქრდა“. თერთმეტმეტრიანი ფერნანდო ტორესმა შეასრულა, მაგრამ, ეტყობა, საფეხბურთო ფორტუნა მასზე მწყრალად ბრძანდებოდა — შოვკოვსკიმ დარტყმის კუთხე გამოიცნო და ანგარიშიც უცვლელი დარჩა. ცოტა ხნის შემდეგ უკვე შევჩენკოს ჰქონდა კარგი ეპიზოდი, თუმც მილანელმაც ვერ ივარგა. გადამწყვეტი და გამარჯვების გოლები კი რაულმა მიითვალა: პირველ შემთხვევაში მადრიდის „რეალის“ ვარსკვლავმა ბურთი მეტოქის საჯარიმოში მიიღო, კარგად დაამუშავა და ტაბლოზე 1:0-იც დაიფიქსირა. მეორედ რეიესის კუთხურს ზუსტი თავური დაუხვედრა. მართალია, შევჩენკომ თამაშის მიწურულს კასილიასისა და მისი მცველების დაბნეულობით ისარგებლა და ულამაზესი გოლი გაიტანა, მაგრამ ამით უკრაინელთა დამაშვრალ ფანობას ოდენ გული მოეფხანა.

ხოსე ანტონიო რეიესი ალექსანდრ ტიმოშჩუკს გადააფრინდა

ᲚᲐᲓᲝ ᲮᲝᲛᲔᲠᲘᲫᲘ

ᲩᲠᲓ. ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ 0:1 ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ

0:1 კარამიანი (29)

საბერძნეთი	7	5	0	2	7:4	15
ესპანეთი	7	4	2	1	12:4	14
უკრაინა	8	2	4	2	11:10	10
სომხეთი	7	2	1	4	7:12	7
ჩრდ. ირლანდია	7	0	3	4	0:7	3

11 ოქტომბერი
სომხეთი — ესპანეთი
საბერძნეთი — ჩრდ. ირლანდია

VII ჯგუფი

ოლოცე, სვენ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ 2:0 ᲚᲘᲮᲢᲔᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ

1:0 ოუენი (46), 2:0 რუნი (51)
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ: ჯეიმსი, ბ. ნევილი, ტერი, ოსბორნი, ბრიჯი, ბექემი (ფ. ნევილი 58), ჯერარდი (ჰარგრივსი 58), ფ. ლამპარდი, რუნი (ჯ. კოული 69), ბიტი, ოუენი
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი

ინგლისის ნაკრებმა მოლოდინის საწინააღმდეგოდ ლიხტენშტაინელ მოყვარულებს ვერ გადაურბინა, მაგრამ რაც ითამაშა, გამარჯვებისთვის ის თამაშიც საკმარისი იყო. უგოლო პირველი ტაიმის მერე მაიკლ ოუენმა შეხვედრის განახლებისთანავე გაიტანა, ექვს წუთში კი უეინ რუნიმ მეორე გოლიც შეაგდო. ამგვარად, ინგლისი ქულით უსწრებს თურქეთის ნაკრებს, რომელსაც ერთი თვის თავზე სტამბოლში შეხვდება და პირველი ადგილის ბედიც იქ გადაწყდება.

„თურქეთში თამაშის არ მეშინია — თქვა ნამატჩევს ინგლისელთა მენეჯერმა სვენ გორან ერიკსონმა — მხოლოდ იმაზე ვილოცებთ, იქამდე ვინმე არ დაგვემტვრეს“. აღვნიშნოთ, რომ ეს გამარჯვება ერიკსონისთვის ზედიზედ მერვე გამოდგა, გადაუსწრო სერ ალფ რამსეის მიღწევას და საუკეთესო შედეგია ინგლისის ნაკრებისთვის 1909 წლის მერე.



უეინ რუნი

ისიც უნდა ითქვას, რომ მაიკლ ოუენისთვის ლიხტენშტაინთან გატანილი გოლი 24-ე სანაკრებო გამოდგა, რითაც ლეგენდარული ფორვარდი ჯეფრი ჰერსტს გაუსწორდა და ინგლისის ნაკრების ყველა დროის ბომბარდირთა შორის მე-11 ადგილზე დამკვიდრდა.

ცალკე უნდა ვთქვათ უეინ რუნიზეც, თუმც სჯობს, ერიკსონს მოვუსმინოთ: „როცა 17 წლის ბიჭს ზედიზედ ორ სანაკრებო შეხვედრაში გოლი გააქვს და ამასთანავე ძალიან კარგადაც თამაშობს, შეუძლებელია, ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერა არ უწინასწარმეტყველო. სტამბოლში თამაშამდე ერთი თვეა და თუ იქამდე „ევერტონშიც“ ასე კარგად ითამაშა, თურქების წინააღმდეგ შეუცვლელი მოთამაშე იქნება“.

შეგახსენებთ, რომ წინა შაბათს, სკოპიეში გატანილი გოლით, უეინ რუნი ინგლისელთა ყველა დროის უყრმესი მეგოლე შეიქნა.

დევიდ ბექემი კი, ვინაც „რეალში“ გადაბარგების შემდეგ პირველად დაუბრუნდა მშობლიურ „ოლდ ტრეფორდს“, მაინცდამაინც ვერ ბრწყინავდა და თან ფრთხილობდა — ერთი ყვითელი ბარათიც და თურქებთან გადამწყვეტი მატჩის გამოტოვება მოუხდებოდა.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲜᲘᲜᲘᲫᲔ

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ 1:1 ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲐ

1:0 ნეზუტი (25), 1:1 დიმიტროვსკი (62)

ინგლისი	7	6	1	0	14:5	19
თურქეთი	7	6	0	1	17:5	18
სლოვაკეთი	7	2	1	4	9:9	7
მაკედონია	8	1	3	4	11:14	6
ლიხტენშტაინი	7	0	1	6	2:20	1

11 ოქტომბერი
თურქეთი — ინგლისი
ლიხტენშტაინი — სლოვაკეთი

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

VIII ჯგუფი

წითელ ეშმაკებს ბულგარელთა ანგელოზობის სჯერათ



ვესლი სონკის დუბლმა ხორვატია წააქცია

ბელგია 2:1 ხორვატია

1:0 სონკი (34), 1:1 შიმიჩი (35), 2:1 სონკი (42)

ბელგია: დე ფლიგერი, დეფლანდრე, ვან ბუიტენი, სიმონისი, ვან დამი, ვალაზიაკი, კლემენტი, ბასეჯიო, გოორი, ბუფელი (მარტენსი 87), სონკი (სოტერსი 89)

ხორვატია: პლეტიკოშა, ტომაში, რ. კოვაჩი, სიმუნიჩი, შიმიჩი, როსო (სრნა 63), ნ. კოვაჩი, რაბიჩი (მარიჩი 77), ფიკოვიჩი, ბორნარი, ოლიჩი (პრსო 77)

გაძღვება: სიმუნიჩი (71)

მსაჯი: გ. პოლი (ინგლისი)

24.00	5052	ლესტერი-ლიდსი	3,2	2,1	3,0	1,26	1,54	1,23

ერთიანი ბილეთი ბავშვ მატჩზე. (ძირითადი დრო) (2,5-ის ნაკლებზე - 2,5-ის მეტი)

		13 სექტემბერი		
19.00	5215	არსენალი-პორტსმუთი	2,1	1,55
19.00	5216	ბლექბერნი-ლივერპული	1,85	1,75
19.00	5217	ბოლტონი-მიდლსბრო	1,8	1,8
19.00	5218	ჩარლტონი-მანჩესტერი	1,95	1,65
19.00	5219	ჩელსი-ტოტენჰემი	1,9	1,7
19.00	5220	ევერტონი-ნიუკასლი	1,85	1,75
19.00	5221	საუთჰემპტონი-ვულვერჰემპტონი	1,85	1,75
18.30	5222	პერტა-პანოვერი	1,9	1,7
18.30	5223	პანზა-ბოხუმი	1,9	1,7
18.30	5224	ლევერკუზენი-ჰამბურგი	2,0	1,6
18.30	5225	მიუნხენი-კიოლნი	1,95	1,65
18.30	5226	დორტმუნდი-ვერდერი	1,95	1,65
18.30	5227	შალკე-შტუტგარტი	1,9	1,7
18.30	5228	ვოლფსბურგი-ბაიერნი	1,9	1,7
21.00	5229	სამპდორია-ლაციო	1,9	1,7
23.30	5230	მილანი-ბოლონია	1,9	1,7
22.30	5231	რეალი-ვალიადოლიდი	2,2	1,5
00.30	5232	სელტა-ბეტისი	1,85	1,75
00.30	5233	რასინგი-სოსიედადი	1,85	1,75
00.30	5234	სევილია-დეპორტივო	1,8	1,8
		14 სექტემბერი		
18.00	5235	სიტი-ასტონ ვილა	1,9	1,7
20.05	5236	ბირმინგემი-ფულემი	1,8	1,8
20.30	5237	კაისერსლაუტერნი-ფრაიბურგი	1,95	1,65
20.30	5238	მიონხენგლადბახი-ფრანკფურტი	1,9	1,7
18.00	5239	ემპოლი-რეჯინა	1,7	1,9
18.00	5240	ლეჩე-ანკონა	1,7	1,9
18.00	5241	მოდენა-უდინეზე	1,75	1,85
18.00	5242	პარმა-პერუჯა	1,9	1,7
18.00	5243	რომა-ბრეშა	1,95	1,65
18.00	5244	სიენა-ინტერი	1,9	1,7
23.30	5245	კიევო-იუვენტუსი	1,95	1,65
20.00	5246	ოსასუნა-ატლეტიკო	1,75	1,85
22.00	5247	ესპანიოლი-ვილიარეალი	1,8	1,8
22.00	5248	სარაგოსა-მურსია	1,8	1,8
22.00	5249	ვალენსია-მალაგა	1,8	1,8
23.00	5250	ბილბაო-მალიორკა	1,8	1,8
00.30	5251	ალბასეტე-ბარსელონა	1,9	1,7
		15 სექტემბერი		
24.00	5252	ლესტერი-ლიდსი	1,85	1,75

რომელ ტაიმში ბავშ მეტი ბოლი

			I-ში	თანაბრად	II-ში
		13 სექტემბერი			
19.00	5515	არსენალი-პორტსმუთი	3,0	2,8	2,0
19.00	5516	ბლექბერნი-ლივერპული	3,0	2,8	2,0
19.00	5517	ბოლტონი-მიდლსბრო	3,0	2,8	2,0
19.00	5518	ჩარლტონი-მანჩესტერი	3,0	2,8	2,0
19.00	5519	ჩელსი-ტოტენჰემი	3,0	2,8	2,0
19.00	5520	ევერტონი-ნიუკასლი	3,0	2,8	2,0
19.00	5521	საუთჰემპტონი-ვულვერჰემპტონი	3,0	2,8	2,0
18.30	5522	პერტა-პანოვერი	3,0	2,8	2,0
18.30	5523	პანზა-ბოხუმი	3,0	2,8	2,0
18.30	5524	ლევერკუზენი-ჰამბურგი	3,0	2,8	2,0
18.30	5525	მიუნხენი-კიოლნი	3,0	2,8	2,0
18.30	5526	დორტმუნდი-ვერდერი	3,0	2,8	2,0
18.30	5527	შალკე-შტუტგარტი	3,0	2,8	2,0
18.30	5528	ვოლფსბურგი-ბაიერნი	3,0	2,8	2,0
21.00	5529	სამპდორია-ლაციო	3,0	2,8	2,0
23.30	5530	მილანი-ბოლონია	3,0	2,8	2,0
22.30	5531	რეალი-ვალიადოლიდი	3,0	2,8	2,0
00.30	5532	სელტა-ბეტისი	3,0	2,8	2,0
00.30	5533	რასინგი-სოსიედადი	3,0	2,8	2,0
00.30	5534	სევილია-დეპორტივო	3,0	2,8	2,0
		14 სექტემბერი			
18.00	5535	სიტი-ასტონ ვილა	3,0	2,8	2,0
20.05	5536	ბირმინგემი-ფულემი	3,0	2,8	2,0
20.30	5537	კაისერსლაუტერნი-ფრაიბურგი	3,0	2,8	2,0
20.30	5538	მიონხენგლადბახი-ფრანკფურტი	3,0	2,8	2,0
18.00	5539	ემპოლი-რეჯინა	3,0	2,8	2,0
18.00	5540	ლეჩე-ანკონა	3,0	2,8	2,0
18.00	5541	მოდენა-უდინეზე	3,0	2,8	2,0
18.00	5542	პარმა-პერუჯა	3,0	2,8	2,0
18.00	5543	რომა-ბრეშა	3,0	2,8	2,0
18.00	5544	სიენა-ინტერი	3,0	2,8	2,0
23.30	5545	კიევო-იუვენტუსი	3,0	2,8	2,0
20.00	5546	ოსასუნა-ატლეტიკო	3,0	2,8	2,0
22.00	5547	ესპანიოლი-ვილიარეალი	3,0	2,8	2,0
22.00	5548	სარაგოსა-მურსია	3,0	2,8	2,0
22.00	5549	ვალენსია-მალაგა	3,0	2,8	2,0
23.00	5550	ბილბაო-მალიორკა	3,0	2,8	2,0
00.30	5551	ალბასეტე-ბარსელონა	3,0	2,8	2,0
		15 სექტემბერი			
24.00	5552	ლესტერი-ლიდსი	3,0	2,8	2,0

ბაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში ბოლს (ძირითადი დრო)

			კი	არა
		13 სექტემბერი		
19.00	5315	არსენალი-პორტსმეუთი	1,85	1,75
19.00	5316	ბლექბერნი-ლივერპული	1.7	1,9
19.00	5317	ბოლტონი-მიდლსბრო	1,75	1,85
19.00	5318	ჩარლტონი-მანჩესტერი	1,75	1,85
19.00	5319	ჩელსი-ტოტენჰემი	1,75	1,85
19.00	5320	ევერტონი-ნიუკასლი	1,7	1,9
19.00	5321	საუთჰემპტონი-ვულვერჰემპტონი	1,75	1,85
18.30	5322	პერტა-პანოვერი	1,65	1,95
18.30	5323	პანზა-ბოხუმი	1,65	1,95
18.30	5324	ლევერკუზენი-ჰამბურგი	1,6	2,0
18.30	5325	მიუნხენი-კიოლნი	1,7	1,9
18.30	5326	დორტმუნდი-ვერდერი	1,65	1,95
18.30	5327	შალკე-შტუტგარტი	1,7	1,9
18.30	5328	ვოლფსბურგი-ბაიერნი	1,65	1,95
21.00	5329	სამპდორია-ლაციო	1,7	1,9
23.30	5330	მილანი-ბოლონია	1,8	1,8
22.30	5331	რეალი-ვალიადოლიდი	1,85	1,75
00.30	5332	სელტა-ბეტისი	1,7	1,9
00.30	5333	რასინგი-სოსიედადი	1,7	1,9
00.30	5334	სევილია-დეპორტივო	1,7	1,9
		14 სექტემბერი		
18.00	5335	სიტი-ასტონ ვილა	1,7	1,9
20.05	5336	ბირმინგემი-ფულემი	1,75	1,85
20.30	5337	კაისერსლაუტერნი-ფრაიბურგი	1,65	1,95
20.30	5338	მიონხენგლადბახი-ფრანკფურტი	1,65	1,95
18.00	5339	ემპოლი-რეჯინა	1,75	1,85
18.00	5340	ლეჩე-ანკონა	1,75	1,85
18.00	5341	მოდენა-უდინეზე	1,7	1,9
18.00	5342	პარმა-პერუჯა	1,7	1,9
18.00	5343	რომა-ბრეშა	1,85	1,75
18.00	5344	სიენა-ინტერი	1,75	1,85
23.30	5345	კიევო-იუვენტუსი	1,7	1,9
20.00	5346	ოსასუნა-ატლეტიკო	1,7	1,9
22.00	5347	ესპანიოლი-ვილიარეალი	1,7	1,9
22.00	5348	სარაგოსა-მურსია	1,7	1,9
22.00	5349	ვალენსია-მალაგა	1,7	1,9
23.00	5350	ბილბაო-მალიორკა	1,7	1,9
00.30	5351	ალბასეტე-ბარსელონა	1,75	1,85
		15 სექტემბერი		
24.00	5352	ლესტერი-ლიდსი	1,7	1,9

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო			1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
		13 სექტემბერი									
19.00	5115	არსენალი-პორტსმუთი	1,6	15,0	30,0	3,4	5,0	15,0	30,0	15,0	15,0
19.00	5116	ბლექბერნი-ლივერპული	4,0	10,0	20,0	5,0	4,4	4,6	20,0	10,0	3,6
19.00	5117	ბოლტონი-მიდლსბრო	3,5	10,0	20,0	4,4	4,4	5,3	20,0	10,0	4,4
19.00	5118	ჩარლტონი-მანჩესტერი	8,0	10,0	20,0	9,0	4,6	3,4	20,0	10,0	2,2
19.00	5119	ჩელსი-ტოტენჰემი	2,0	10,0	20,0	3,4	4,6	11,0	20,0	10,0	10,0
19.00	5120	ევერტონი-ნიუკასლი	3,5	10,0	20,0	4,6	4,4	5,0	20,0	10,0	4,2
19.00	5121	საუთჰემპ.-ვულვერჰემპ.	2,3	10,0	20,0	3,4	4,4	9,0	20,0	10,0	8,0
18.30	5122	პერტა-პანოვერი	2,6	10,0	20,0	3,6	4,4	7,5	20,0	10,0	6,5
18.30	5123	პანზა-ბოხუმი	2,8	10,0	20,0	3,8	4,4	6,5	20,0	10,0	5,6
18.30	5124	ლევერკუზენი-ჰამბურგი	2,4	10,0	20,0	3,4	4,6	8,0	20,0	10,0	7,5
18.30	5125	მიუნხენი-კიოლნი	2,5	10,0	20,0	3,5	4,6	8,0	20,0	10,0	7,0
18.30	5126	დორტმუნდი-ვერდერი	2,5	10,0	20,0	3,5	4,6	8,0	20,0	10,0	7,0
18.30	5127	შალკე-შტუტგარტი	3,2	10,0	20,0	4,2	4,4	6,0	20,0	10,0	5,0
18.30	5128	ვოლფსბურგი-ბაიერნი	6,5	10,0	20,0	7,5	4,4	3,6	20,0	10,0	2,6
21.00	5129	სამპდორია-ლაციო	4,6	10,0	20,0	5,3	4,4	4,4	20,0	10,0	3,5
23.30	5130	მილანი-ბოლონია	1,6	15,0	30,0	3,4	5,0	15,0	30,0	15,0	15,0
22.30	5131	რეალი-ვალიადოლიდი	1,6	15,0	30,0	3,4	5,0	15,0	30,0	15,0	15,0
00.30	5132	სელტა-ბეტისი	2,7	10,0	20,0	3,6	4,4	7,5	20,0	10,0	6,5
00.30	5133	რასინგი-სოსიედადი	3,8	10,0	20,0	4,8	4,4	4,6	20,0	10,0	3,8
00.30	5134	სევილია-დეპორტივო	3,8	10,0	20,0	4,8	4,4	4,6	20,0	10,0	3,8
		14 სექტემბერი									
18.00	5135	სიტი-ასტონ ვილა	2,8	10,0	20,0	3,8	4,4	6,5	20,0	10,0	5,6
20.05	5136	ბირმინგემი-ფულემი	2,8	10,0	20,0	3,8	4,4	6,5	20,0	10,0	5,6
20.30	5137	კ.ლაუტერნი-ფრაიბურ.	2,7	10,0	20,0	3,6	4,4	7,0	20,0	10,0	6,0
20.30	5138	მ.გლადბახი-ფრანკფ.	2,5	10,0	20,0	3,5	4,4	8,0	20,0	10,0	7,0
18.00	5139	ემპოლი-რეჯინა	3,0	10,0	20,0	4,0	4,2	7,5	20,0	10,0	6,5
18.00	5140	ლეჩე-ანკონა	2,6	10,0	20,0	3,6	4,2	9,0	20,0	10,0	7,5
18.00	5141	მოდენა-უდინეზე	3,8	10,0	20,0	4,6	4,2	5,0	20,0	10,0	4,2
18.00	5142	პარმა-პერუჯა	3,1	10,0	20,0	3,4	4,4	11,0	20,0	10,0	10,0
18.00	5143	რომა-ბრეშა	1,7	15,0	30,0	3,4	4,8	14,0	25,0	12,0	12,0
18.00	5144	სიენა-ინტერი	7,0	10,0	20,0	8,0	4,6	3,5	20,0	10,0	2,5
23.30	5145	კიევო-იუვენტუსი	6,5	10,0	20,0	8,0	4,6	3,6	20,0	10,0	2,6
20.00	5146	ოსასუნა-ატლეტიკო	3,6	10,0	20,0	4,6	4,4	4,8	20,0	10,0	4,0
22.00	5147	ესპანიოლი-ვ.რეალი	3,3	10,0	20,0	4,4	4,4	5,6	20,0	10,0	4,8
22.00	5148	სარაგოსა-მურსია	3,0	10,0	20,0	4,0	4,4	6,5	20,0	10,0	5,6
22.00	5149	ვალენსია-მალაგა	2,0	12,0	25,0	3,4	4,6	12,0	25,0	12,0	12,0
23.00	5150	ბილბაო-მალიორკა	3,0	10,0	20,0	4,0	4,4	6,5	20,0	10,0	5,6
00.30	5151	ალბასეტე-ბარსელონა	6,5	10,0	20,0	7,5	4,4	3,6	20,0	10,0	2,6
		15 სექტემბერი									
24.00	5152	ლესტერი-ლიდსი	3,8	10,0	20,0	4,8	4,4	4,6	20,0	10,0	3,6

პროპოს დიდების ბიურო (წერეთლის გამზირი, პორპუსი № 11) 1 სექტემბრიდან ორშაბათობითაც მუშაობს

ევროპას ახალი ჩემპიონი ეყოლება! შარშანწინ თურქეთში ამ ტიტულის მომხვეჭი იუგოსლავია, დღეს სერბეთ-ჩერნიგორიად რომ იწოდება, მეოთხედფინალში ლიტვასთან დამარცხდა. საკუთრივ ლიტვა შორეულ წარსულში, 1937-39 წლებში ყოფილა ევროჩემპიონი და წლეულს შვედეთში ისე ყოჩაღობს, ოდინდელი წარმატება რომ გაიმეოროს, არ გაგვიკვირდება.

გუშინწინ ღამით მეორე ნახევარფინალისტიც გამოვლინდა და იგი არაა ბაქიბუქა რუსეთი. ფრანგებმა ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს დაუმტკიცეს ის, რომ მხოლოდ ანდრეი კირილენოკთი შორს ვერ გაფრინდებოდნენ, თუმცაღა იმ მატჩში ანდრიუშამ მაინც ყველაზე მეტი ქულა მოიხვეჭა.

ყველაფერთან ერთად მეოთხედფინალის მოგებას გამარჯვებულისთვის ათენის ოლიმპიადის საგზურიც მოჰქონდა. ჰოდა, უკვე ცნობილია, რომ გაისად ევროპიდან ოლიმპიადაზე საფრანგეთი და ლიტვა ითამაშებენ...

რუსებს შავი ბორისისგან მოხვდათ

ქართველის ძმაკაცი მათთვის დიავოლია



REUTERS სტოკჰოლმიდან

რუსი იძლია, ფრანგმა გაიხარა

საფრანგეთი 76:69 რუსეთი

21:18, 21:21, 21:14, 13:16

საფრანგეთი: პარკერი (18), ფუარე (12), პიეტრუსი (18), აბდულ-ვაჰადი (2), მოისო (12); სონკო (10), დიგბე, დუმასი, დიავი (14), რუპერი
რუსეთი: მონია (11), კარასიოვი (12), კუბრაკოვი, კირილენკო (22), სავრასენკო; ლიხოლიტოვი (4), სოლოვიოვი, სამოილენკო, ხრიაპა (13), პაშუტინი (7)

რუსებმა მატჩის წინა დღეს სასიამოვნო ამბავი გაიგეს: ფრანგებმა გამოაცხადეს, რომ მეოთხედფინალს ვარჯიშზე დაშავებული დალასელის, ტარიქ აბდულ-ვაჰადის გარეშე ითამაშებდნენ. რამდენიმე წლის წინ გამუსლიმებული ტარიქი ფრანგების ლიდერი და მთავარმექანეული იყო. რუსებსაც იმედი მიეცათ, ნახევარფინალი ახლოს ყოფილაო.

ფრანგების განცხადება ფანდივით რამ გამოდგა, თუმც მხრის ტრავმის გამო აბდულ-ვაჰადმა საჭირო დროით მაინც ვერ ითამაშა. მან სასტარტო ხუთეულში დაიწყო თამაში, შეუპოვრადაც მიეძალა რუსებს, ფრანგთა პირველი ორი ქულაც მითვალა, მაგრამ მეოთხე წუთზე მხარი ასტკივდა და მოედანს გამოეთხოვა.

უვაჰადობა ფრანგებს დიდად არ დასტყობიათ. რუსების მოსათვინიერებლად მათ ხუთიოდ წუთი დასჭირდათ, მანამდე კი ბრძოლა თანაბარი იყო. რუსთა დამრიგებელმა სერგეი ელიოვიჩმა მოედნიდან მალევე გაიყვანა მანამდელ მატჩებში სათადარიგო ალექსეი სავრასენკო, რომელსაც ფრანგებთან სასტარტოში დააწყებინა, რათა მოწინააღმდეგის ბანაკში არეულობია შეეტანა. სავრასენკო აშკარად დაჩაგრა ნიუორლეანელმა ჯერომ მოისომ, რომელიც ერთხანს რუსთა ლიდერ ანდრეი კირილენკოსაც გვარიანად ავიწროვებდა.

ფრანგებმა მეათე წუთისთვის საგრძნობ უპირატესობას მიაღწიეს. სანანტონიოელი ტონი პარკერი და „პო ორტეზში" გიორგი მდივნის თანაგუნდელი ლორენ ფუარე წარმატებით უტევდნენ რუსებს, მერე კი ჩრდილოელთა იმედმა ანდრეი კირილენკომაც გამოიფხიზლა და თავისიანები მეორე მეოთხედში 2 ქულით მიაახლოვა ფრანგებს.

ნბა-ელებით დახუნძლულ მეტოქესთან ჭიდილში მხოლოდ იუტელი ანდრეი რომ ვერაფერს გახდებოდა, იმთავითვე ნათელი იყო. რუსთა უკანახაზელები — ვასილი კარასიოვი და სერგეი მონია შეეცადნენ, კირილენკოსთვის მხარი აებათ, მაგრამ ერთი-ორი ხეირიანი კომბინაციის მეტს ვერაფერს გამორჩნენ და ფრანგებიც ბოლო ათწუთეულის წინ 11 ქულით დაწინაურდნენ.

რუსები იმის იმედზეღა დარჩნენ, თუ ამას საერთოდ შეიძლება ეწოდოს იმედი, რომ მანამდელ მატჩებში მეტოქე ბოლო მეოთხედებში დაეჩაგრათ. ფრანგებსაც იგივე დაუპირეს და ცოტაც რომ გამართლებოდათ, ეგებ ნახევარფინალშიც გამძვრალიყვნენ, თუმც...

ბოლო ათწუთეული გუნდებმა უნიათოდ დაიწყეს. ფრანგებმა კარგა ხანს ვერ ჩააგდეს რუსებიც კანტიკუნტად ხეირობდნენ. მაგრამ სად იყო და სად არა, ათამაშდა წლევანდელი დრაფტის პირველრაუნდელი, „პო ორტეზში" ყოფნისას გიო მდივნის ძმაკაცი ბორის დიავი, რომელიც ისე მაღლა ხტებოდა, ყველაზე წოწოლა რუსსაც კი ართმევდა ფარიდან ასხლეტილ ბურთს.

დიავის ჩაუქობამ თითქმის გაარკვია გამარჯვებული, როცა მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე ფრანგები 15 ქულით დაწინაურა. სერგეი ელიოვიჩმა უკანასკნელი წუთშესვენება აიღო და თავისი სამწყსო საპრესინგოდ მომართა. რუსთა მოძღვრის ტაქტიკამ გაჭრა, ანგარიში ჯერ შემცირდა, მერე კი, ჩრდილოელებმა ფრანგებს 35 წამში ზედიზედ სამჯერ რომ ჩაუჭრეს და კონტრშეტევებზეც იხეირეს, ანგარიშის გათანაბრებას რუსთა 4 ქულაღა უკლდა. საფინალო სირენამდე წუთიღა რჩებოდა, თუმც უკანასკნელი შტურმისთვის რუსებს ძალა აღარ ეყოთ და ვერც ნახევარფინალში გავიდნენ, ოლიმპიადის მიღმაც დარჩნენ.



წლეულს გიორგი მდივანმა და ბორის დიავიმ საფრანგეთში ერთად იჩემპიონეს

ლიტვა 98:82 სერბეთი

30:19, 27:24, 23:23, 18:16

ლიტვა: მასიუსკასი (20), შტომბერგასი (4), სონგაილა (14), ე. ჟუკაუსკასი (4), იასიკევიჩუსი (21); მ. ჟუკაუსკასი (4), შიშკაუსკასი (27), სლანინა, ლავროვიჩი (4), პრაშკევიჩუსი
სერბეთი: იარიჩი (14), ვუიანიჩი (13), დრობნიაკი (13), კოტუროვიჩი (4), გუროვიჩი (14); ვუკჩევიჩი (2), ბოგავაჩი, ავდალოვიჩი (5), ოსტოიჩი (17)



REUTERS სტოკჰოლმიდან

მარკო იარიჩი (მარცხნივ) რამუნას შიშკაუსკასი

ერთი იყო, ახლა ორია **ესეც შენი სერბიგორია**

ჯგუფში უნიათო თამაშს მავანნი თავის მოკატუნებად უთვლიდნენ ჩემპიონებს და ამბობდნენ, სერბები ამით მეტოქეს ადუნებენ და ბოლოსკენ აფეთქდებიანო. ტყუილი გამოდგა! ჩემპიონთა სისუსტე ლიტვამ ამხილა და ახლა ალბათ სწორედ ბალტიელები ჩაითვლებიან ოქროს მოგების უპირველეს კანდიდატებად.

ვერ დავიჩემებთ, ლიტვა და სერბეთ-ჩერნიგორია ერთი ყაიდის კალათბურთს თამაშობენო, მაგრამ ამ ნაკრებთა შორის არის ერთი აშკარა მსგავსება. ორივე გუნდი რამდენიმე ვარსკვლავზეა ჩამოყრდნობილი და დანარჩენები „დამხმარე მუშაზელის" როლს ასრულებენ. მაგრამ ყველამ იცის, რომ სერბეთს ორი „მამაბოძი", ვლადე დივაცი და დეიან ბოდიროგა ეგამოაკლდა. პირველმა განაცხადა, კარიერას მალე დავასრულებ და დასვენება მინდა, რათა „საკრამენტოში" თავი არ შევირცხვინოო, ხოლო ბოდიროგამ თქვა, გადავიღალე და თუ სამომავლოდ ჩემი დახმარება გჭირდებათ, შვედეთში ნუ წამიყვანთო.

ლიტვის ნაკრები ამაშიც კი წაგავს სერბეთის გუნდს. ბალტიელთა ნბა-ში აღიარებულმა ლიდერებმა, არვიდას საბონისმა და ჟიდრუნას ილგაუსკასმა ნაკრებში თამაში იუარეს, თუმც ახლაც კი, ვარსკვლავნაკლულა გუნდებს თავ-თავიანთი ლიდერები ჰყავთ და მათ ილაჯზე არიან დამოკიდებულნი. სერბეთს არც ის შერჩენილი ლიდერი ჰყავდა მწყობრში: საკრამენტოელ პრედრაგ სტოიაკოვიჩს თურქებთან ნატკენი ფეხი გაუმიზეზდა და ლიტველებთან საბრძოლველად ვერ გავიდა.

საკუთრივ მატჩი დაძაბული ვერ გამოდგა, ბალტიისპირელებმა დებიუტშივე ჩამოიტოვეს ბალკანელები და მიახლოებას საშუალება ფაქტობრივად აღარ მიუციათ. უბადლოდ ირჯებოდა ლიტველთა ბარსელონელი გამთამაშებელი, მკვირცხლი და ქორისთვალა შარუნას იასიკევიჩუსი, ვინაც კლიპერსის ცხვირგაბუშტულ უკანახაზელ მარკო იარიჩს აჯობა.

ლიდერებშემოღლეტილი სერბები გუნდური თამაშით ცდილობდნენ ფონს გასვლას, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს ინდივიდუალური ოსტატობით აღიარებულ სამ ლიტველს — ხსენებულ იასიკევიჩუსს, არვიდას მასიუსკასსა და რამუნას შიშკაუსკასს. ლიტველთა 98 ქულიდან 68 სწორედ ამ სამეულის ანგარიშზეა. მასიუსკასი იყო ის კაცი, ბოლო მეოთხედში ვა-ბანკზე წასულ და სამწუთიანი მონაკვეთის 17:0 მომგებ სერბებს ცივი წყალი რომ ასხურა დროული სამქულიანით. მასიუსკასის ზუსტმა შორეულმა სროლამ საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე 7 ქულამდე გაზარდა ლიტველთა უპირატესობა და გადაღლილ სერბებს ბრძოლის ნირი წაუხდინა.

ირაკლი პერტაია

გიორგი ხრიკაძე
სტამბოლური თასით

გიორგი ხრიკაძე სტამბოლში კაჭვით იყო

ახლახან სტამბოლში გაიმართა 16-წლამდელ ჩოგბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. „ბოსროს თასისთვის" ცხრა ქვეყნის 64 წარმომადგენელი იბრძოდა, მათ შორის 14 წლის თბილისელი გიორგი ხრიკაძეც.

გიორგიმ, რომელიც მეორე ნომრად იყო განთესილი, საწყისი ორ ტური ადვილად გაიარა: ჯერ მასპინძელ მუსტაფა იქიჯის სძლია — 6:4, 6:1, შემდეგ რუს ანდრეი ბუბნოვს — 6:3, 6:3. მეოთხედფინალში თურქ თუნა ალთინთან კი გაუჭირდა, მაგრამ ისიც ჩამოიშორა გზიდან — 6:3, 5:7, 6:2, მერე მას რუმინელი ალექს დედუც მიაყოლა — 6:3, 6:2 და ფინალში პირველ რეიტინგიან თურქ ისლან მუტლუს დაუპირისპირდა.

გადამწყვეტ ორთაბრძოლაში თავიდან ქართველი დაწინაურდა — 4:1, მაგრამ მუტლუმ მალე გაუთანაბრა — 4:4, მერე კი საქმე ტაი ბრეიკამდე მივიდა, რომელიც ხრიკაძის სასარგებლოდ დასრულდა. მეორე სეტიც თითქმის ისევე მიმდინარეობდა: ხრიკაძე კვლავ წინ იყო — 4:2, მუტლუ ისევ წამოეწია — 4:4, მაგრამ ამჯერადაც მეტის მოხერხება ვერ შეძლო. ამრიგად, გიორგი ხრიკაძემ ფავორიტი მასპინძელი დამაჯერებლად დაამარცხა 7:6, 6:4 და ლამაზი თასიც დაისაკუთრა. ეს გიორგისთვის, რომელსაც წარსულში ცნობილი ჩოგბურთელი თეიმურაზ კაკულია ავარჯიშებს, წლევანდელ ხუთ საერთაშორისო ტურნირში საუკეთესო შედეგია. მას წლის ბოლომდე კიდევ ელის საუცხოეთო შეჯიბრებები, კერძოდ, ნოემბერში ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება და სამოთხ ტურნირში ასპარეზებს.

სტამბოლში ხრიკაძემ წყვილთა თანრიგშიც სცადა ძალა. მისი მეწყვილე იყო უკრაინელი დიმა პოსტრიხინი, რომელიც რამდენიმე თვეა, თბილისში ვარჯიშობს, ისიც კაკულიას ხელმძღვანელობით. გიორგი და დიმა ფინალამდე იოლად მივიდნენ, მაგრამ დასკვნით შეხვედრაში მასპინძელთა დუეტთან მოუხდათ ფარხმალის დაყრა — 5:7, 3:6.

გია ახალაძე

REUTERS სარგებლობიდან

მასტერსრვეულის ნახევარი გადაიშალა

თუკი საჩოგბურთო საქმეებში ოდნავ ჩახედული მაინც ბრძანდებით, დასტურ გეცოდინებათ — კაცთა სეზონი რვაკაცა მასტერსთასით სრულდება ხოლმე. ამ რვეულს, როგორც წესი, ჩემპიონთა რბოლაში პირველ რვა ადგილზე გასული მეჩოგნეები შეადგენენ.

გვაქვს პატივი გაუწყოთ, რომ საწლევანდლო რვეულის ნახევარი — და მასტერსთასს 8-დან 16 ნოემბრამდე ჰიუსტონი უმასპინძლებს — უკვე გარკვეულია. როგორც ამქრის მეანგარიშეებმა დაჩოთქეს, რბოლაში 807 ქულით პირველ ადგილზე მყოფ ენდი როდიკს და მისმომდევნოთ — ხუან კარლოს ფერეროს (714), როჯერ ფედერერსა (629) და ანდრე აგასის (605) რვეულს მიღმა უკვე ვეღარავინ დააქვეითებს.

დანარჩენი ოთხი „ფინალისტის" ბედს სეზონის გასრულებამდე დარჩენილი შვიდი კვირა გაარკვევს. ისე კი, ყველაზე ძლიერი პოზიციები ამ მომენტისთვის გილერმო კორიას (589), რაინერ შუტლერს (477), კარლოს მოიასა (398) და დავიდ ნალბანდიანს (358) უკავიათ. წინა ორი მასტერსთასის გამარჯვებული და წინა ორი სეზონის პირველოსნად გამასრულებელი ლეიტონ ჰიუიტი 290 ქულით მეცხრე ადგილზეა. რვეულში შესაკვეხად მას მადრიდულსა და პარიზულ მასტერსტურნირებზე თავის გამოჩენა მოუხდება.

ანდრე აგასი



ხუან კარლოს ფერერო



ენდი როდიკი



როჯერ ფედერერი

ველორბოლა

VUELTA A ESPAÑA 03

ვუელტა 2003 6 - 28 სექტემბერი

მეხუთე ეტაპის გამარჯვებული ალესანდრო პეტაკი „ამალითურთ"

REUTERS სარგებლობიდან

10 სექტემბერი V ეტაპი

სორია — სარაგოსა. 166 კმ

1 ალესანდრო პეტაკი (იტალია, ფასა ბორტოლო) 3 სთ 19 წთ 26 წმ
2 ანხელ ედუ (ესპანეთი, მაიამილანება) იგივე დრო
3 ჟულიან დინი (ახალი ზელანდია, CSC) + 2 წმ
4 ერიკ ცაბელი (გერმანია, ტელეკომი)
5 ანტონიო ბუკიერო (იტალია, ტელეკომი) ყველა იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 ისიდრო ნოსალი (ესპანეთი, ეროსკი) 14 სთ 11 წთ 3 წმ
2 დავიდ ეზებარია (ესპანეთი, ეუსკალტელ ეუსკადი) + 50 წმ
3 ხოაკინ როდრიგესი (ესპანეთი, ეროსკი)
4 იგორ გონსალეს კალდიანო (ესპანეთი, ეროსკი)
5 მარკოს სერანო (ესპანეთი, ეროსკი) ყველა იგივე დრო

პეტაკიმ ნიშნისმოგებით მოიგო

მუშა ხალხს გაუმარჯოს, მუშას!

იტალიელმა ალესანდრო პეტიკიმ დიდ ხანს არ ალოდინა თავისი გუნდის „ფასა ბორტოლოს" უფროსობა და სამ დღეში მეორე ესპანური ეტაპი მოიგო. ამ ჩაუქობით პეტაკის წლეულს დიდრბოლებზე 12, სეზონში კი სულ 21 მოგებული ეტაპი დაუგროვდა. იტალიელმა ჯიროზე 6, ტურ დე ფრანსეზე 4, ხოლო ვუელტაზე ჯერჯერობით 2 მონაკვეთის მორჯულება შეძლო.

„ძალიან მინდოდა, ვუელტაზე მეორე ეტაპიც მომეგო, რაკი ზოგი ლაპარაკობდა, თითქოს სანტანდერული რბოლისას გამიმართლა, ახლა კი ვერავინ იტყვის, რომ მეორედაც შემთხვევით გავიმარჯვე" — განაცხადა 29 წლის პეტაკიმ და იქვე დასძინა, რომ არა ჩემი თანაგუნდელები, ფინიშთან სხვები მიმასწრებდნენო.

პეტაკი მართალია. „ფასა ბორტოლოს" „მუშა" ბიჭებმა ეტაპის ბოლო კილომეტრებზე პელოტონი დაბლოკეს და თავიანთი ლიდერი ესპანელ ანხელ ედუს შეატოვეს.

10 სექტემბერი V ეტაპი

სორია — სარაგოსა. 166 კმ

1 ალესანდრო პეტაკი (იტალია, ფასა ბორტოლო) 3 სთ 19 წთ 26 წმ
2 ანხელ ედუ (ესპანეთი, მაიამილანება) იგივე დრო
3 ჟულიან დინი (ახალი ზელანდია, CSC) + 2 წმ
4 ერიკ ცაბელი (გერმანია, ტელეკომი)
5 ანტონიო ბუკიერო (იტალია, ტელეკომი) ყველა იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 ისიდრო ნოსალი (ესპანეთი, ეროსკი) 14 სთ 11 წთ 3 წმ
2 დავიდ ეზებარია (ესპანეთი, ეუსკალტელ ეუსკადი) + 50 წმ
3 ხოაკინ როდრიგესი (ესპანეთი, ეროსკი)
4 იგორ გონსალეს კალდიანო (ესპანეთი, ეროსკი)
5 მარკოს სერანო (ესპანეთი, ეროსკი) ყველა იგივე დრო

პეტაკის კი თუ საფინიშო სპურტის შანსი მიეცა, მერე მისი გასწრება გვარიანად ძნელი საქმეა.

მიუხედავად იტალიელის ფრიადზე რბოლისა, საერთო ჩათვლაში იგი 25-ეა და ლიდერ ისიდრო ნოსალს მთელი 15 წუთით ჩამორჩება. ვარაუდობენ, რომ „ეროსკის" წევრ ნოსალის ყვითელ მაისურას სულ მალე მისივე თანაგუნდელი იგორ გონსალეს დე გალდეანო ჩაიცვამს და ეს ალბათ პირენეების მთიანი რბოლებისას მოხდება.

გია ძუპრაძე

ავტორბოლა

თურქული ფორმულა: ამოიღე ხალხი ჩამოვა, ფული ჩამოვა, ქალი ჩამოვა

ბერნი ეკლსტოუნი და რეჯეფ ერდოგანი
სტამბოლის ტრასის მშენებლობას იწყებენ

REUTERS სტამბოლიდან

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

მარიფათიანი თურქები რომ მიდგნენ, მოდგნენ, ხალხი შეაწუხეს და თავი ფორმულა 1-ის არისტოკრატულ ოჯახში მიაღებინეს, ძველი ამბავია.

ახალი ამბავი კი სტამბოლის პრესტიჟულ რაიონში, კურტკოიში ულტრათანამედროვე საფორმულე ტრასის მშენებლობის დაწყებაა. ტრასას უკვე ჩაეყარა საძირკველი. ეს სიმბოლური რამერუმე სხვა მახვშებთან ერთად თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ ერდოგანმა და ფორმულის მამამ ბერნი ეკლსტოუნმა „აკურთხეს".

„დარწმუნებული ვარ, ფორმულას თურქეთში დიდი მომავალი აქვს. ეს იქნება უდიდესი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოში მილიარდნახევარი ადამიანი ამ უპრესტიჟულესი ავტორბოლის ტრფიალია, გამოდის, თურქეთში ტურიზმი აქამდე არნახულ ზღვარს მიაღწევს. ამ ხალხიდან ორასი ათასი მაინც რომ დაესწროს თურქულ რბოლას, მშენებლობაში ჩადებული მილიონები მილიარდებად დაგვიბრუნდება" — განაცხადა ერდოგანმა.

ტრასის მშენებლობა 60 მილიონი აშშ დოლარი დაჯდება, აქედან 27 მილიონს თურქეთის მთავრობა გამოდის, დანარჩენი სპონსორების წილია.

ტრასის სიგრძე 5,3 კილომეტრი იქნება 15 მოსახვევით, ყველაზე სწორი მონაკვეთი კი 928 მეტრია.

თურქები გარანტიას იძლევიან, რომ ტრასა 2005 წლის მარტისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება, ხოლო პირველ რბოლას აგვისტოში უმასპინძლებენ.

ბაჩო სვანიძე

ვადოს საერთაშორისო კარატე-დოს ფედერაციის თავკაცი, ვადო-რიუს ფუძემდებლის, ჰიროდორი ოცუკას პირველი მოწაფე ტაცუო სუძუკი თბილისში საქართველოს ვადო-რიუ კარატეს ფედერაციის და მისი პრეზიდენტის მიხეილ მახარაძის მოწვევით ჩამოვიდა და სამდღიანი სემინარი ჩაატარა. 75 წლის სენსეიმ თბილისში რვა დღე დაჰყო. იაპონელს ჩვენს ქვეყანასა და თავის სამშობლოს შორის უკვე ბევრი მსგავსებაც შეუნიშნავს და საქართველოს უკეთ გასაცნობად ლამის მთელი ქვეყანა შემოიარა



მიხეილ მახარაძე, ტაცუო სუძუკი და მისი მეუღლე

სენსეი სუძუკი: სადღეგრძელო და დაძალება ჩვენც ვიცით

— კმაყოფილი დარჩით თბილისური სემინარით?

— არათუ კმაყოფილი, არამედ აღფრთოვანებული. განსაკუთრებით პატარა ბავშვებით. მათი მსგავსი ზრდილობიანი და მონდომებული პატარები არსად შემხვედრია. ჩემი სემინარები სამ საათზე მეტხანს გრძელდებოდა. ევროპაში კი ამის ნახევარი დროც საკმარისია, რათა ბავშვებს ინტერესი და კონცენტრაცია დაეკარგოთ. აქ მსგავსი არაფერი შემინიშნავს. სიზარმაცეც ნაკლებად იგრძნობა.

— საქართველოს შესახებ პირველად როდის გაიგეთ?

— ქართველები 1994 წლის ევროპის ჩემპიონატზე ვნახე. მართალია, მაშინ არც ერთ მათგანს მედალი არ მოუპოვებია, მაგრამ მაინც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

— როგორ მოგეწონათ ჩვენი ქვეყანა, რამ მოახდინა თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება?

— აქ ჩამოსვლამდეც ვიცოდი, რომ საქართველო ძალიან საინტერესო, ძველი კულტურისა და ტრადიციების ქვეყანა იყო. ამიტომაც ვეცადე, რომ რაც შეიძლება მეტი მენახა. საქართველოს მთავარი ღირსშესანიშნაობა კი მისი ხალხია. ბევრი კარგი თვისება დავინახე ქართველებში. განსაკუთრებით თქვენს სითბოსა და სტუმართმოყვარეობას გამოვარჩევ.

— პირველ პრესკონფერენციაზე თქვით, რომ საქართველოსა და იაპონიას შორის ბევრი მსგავსება აღმოაჩინეთ. მაინც რას გულისხმობდით?

— უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ ორივე ქვეყანაში სადღეგრძელოებით ქეიფობენ. ოღონდ ჩვენ საკეს ვსვამთ.

— ქართულ სუფრაზე რაღას იტყვით?

— ამჟამად დიეტაზე ვარ და მარილიანს და ხორცეულს არ გეახლებით, თუმცა ქართულ სუფრაზე ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია კერძების გემოს გასაგებად. მათ შესახებ აქამდეც მსმენია.

— დალევა ხომ არ დაუძალებიათ?

— არც ეგაა ჩემთვის უცხო. იაპონიაშიც აძალებენ.

— მე-8 დანის მფლობელი ხართ. უფრო მაღლა ასვლა არ მოგიწადინებიათ?

— უკვე 30 წელია, მერვე დანი მაქვს და სურვილი რომ მქონოდა, მეტსაც მივაღწევდი, მაგრამ ჩემი დიდი მასწავლებლის, სენსეი ოცუკას გარდაცვალების შემდეგ გადავწყვიტე, გამოცდა სხვისთვის არ ჩამებარებინა. ასე რომ, ყველა დანი დიდი სენსეისგან მაქვს. გარდა ამისა, მე ჰანჩის წოდება მაქვს, რაც იაპონიაში ძალიან ბევრს ნიშნავს. მსგავსი პატივით ცოტა თუ დაიკვეხნის, თანაც მათ ეს ტიტული ფედერაციებისგან მიიღეს, მე კი თავად იმპერატორმა მიბოძა.

— სემინარებში აქტიურად მონაწილეობდა თქვენი ბერძენი მეუღლე, რომელიც ევროპის ჩემპიონი და მეოთხე დანის მფლობელია, შვილებიც მისდევენ კარატეს?

— ჩემი ვაჟი კი ვარჯიშობს, მაგრამ პროფესიონალი არაა. კარატე სისტემატურ ვარჯიშს მოითხოვს, ის კი, სამწუხაროდ, ამას ვერ ახერხებს.

— კარატეზე ფილმებს თუ უყურებთ?

— ძალიან მიყვარს და სიამოვნებითაც კუყურებ, თუმც ფილმებში ყველაფერს აზვიადებენ. ყველაზე დიდი კარატისტებიც კი ვერ იფრენენ ისე, როგორც, მაგალითად, ბრიუს ლი. ეს უკანასკნელი ძლიერი კარატისტი ნამდვილად არ იყო და საერთოდ, კინოში პროფესიონალები ნაკლებად მონაწილეობენ.

— გამომშვიდობებისას რას გვეტყოდი?

— პირველ ყოვლისა, მადლობას ვუხდი საქართველოს ვადო-რიუ კარატეს ფედერაციას და მის ხელმძღვნელ მიხეილ მახარაძეს მოწვევისთვის. საქართველოში ჩამოსვლა აქამდეც მინდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე. იმედია, მომავალში კიდევ გესტუმრებით.

ოთარ გაღლაკელიძე

Judo

მსოფლიოს ჩემპიონატი
ოსაკა, იაპონია. 11 - 14 სექტემბერი

ერთიანი ბიბლიოთ...

ჯერ მაქსიმუმი მეოთხედფინალია

რვაწლიანი შესვენების შემდეგ ძიუდოს მსოფლიოს ჩემპიონატი სამშობლოს დაუბრუნდა.

ტურნირში ჯერ მხოლოდ ორი ქართველია ჩართული, დანარჩენი 6 წონითი კატეგორია კი ორგანიზატორებმა დარჩენილ სამ დღეზე თანაბრად გადაანაწილეს. 14 სექტემბრამდე „ოსაკა-ჯო ჰოლის“ სპორტკომპლექსში საჭიდაოდ მსოფლიოს 700-მდე ძიუდოისტი გავა და თითოეულის სურვილი მინიმუმ ექვსეულში მოხვედრა იქნება. ეს კი ათენის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებას ნიშნავს

გუშინ ხალიჩაზე 100 კილომდე და უფრო მძიმენი გავიდნენ. ივერი ჯიქურაული (100 კგ) ტურნირში მეორე რაუნდიდან ჩაერთო და ტაივანელ ლინ ში-ჩის შანსი არ დაუტოვა. იპონითვე სძლია კუბელ ორეიდის დესპანს, რითაც მეოთხედფინალისკენ გაიკვალა სავალი. ერთი გამარჯვებაც და მედლისკენ ეხსნებოდა გზა, თუმცა კენჭისყრამ აშკარად არ გაუმართლა და მეტოქედ ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი, მასპინძელი კოსეი ინუ არგუნა. ამჯერად სუფთა გამარჯვება იაპონელმა იზეიმა და ნახევარფინალთან ერთად ოლიმპიადის ლიცენზიაც ჩაიჯიბა. ჯიქურაულმა კი მსოფლიოს ჩემპიონატი ქართველთაგან პირველმა დაასრულა.

მეოთხედფინალური შეხვედრა გამოდგა საბედისწერო მძიმეწონოსან ზვიად ხანჯალიაშვილისთვისაც. მისთვის გადაულახავ ზღუდედ ჰოლანდიელი დენის ვან დერ გესტი იქცა. ზვიადმა ბრძოლა ვაზარით წააგო. მანამდე კი, ჯიქურაულის მსგავსად, ორი მეტოქე ჩამოიშორა. მეორე რაუნდში ტუნისელი ანიშ ჩედლი დააიპონა, ხოლო შემდეგ კორეელ კენ ბიუნჯინს სძლია ვაზარით.

დღეს ჩემპიონატში 81 და 90 კილო წონისანი ჩაერთვებიან. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ზურაბ ზვიადაურმა (90 კგ), მართალია, ევროპის ჩემპიონატი უსახურად დასრულა, მაგრამ ოსაკაში მაინც გუნდის ერთ-ერთ ლიდერად და მედლის კანდიდატად წავიდა. იმედი ვიქონიოთ, რომ 2001 წელს მიუნხენში მოპოვებულ ვერცხლს თუ არ „მოუმატა“, არ ჩამოაკლებს მაინც. 81 კგ წონა კი, ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელისვე სიტყვებით, მისი გუნდის სუსტი წერტილია და გრიგოლ მამრიკიშვილისაც უფრო სამომავლოდ ეიმედება. მანამდე კი პროგრამა-მაქსიმუმი ოლიმპიური ლიცენზიაა.

ხვალ ხალიჩაზე ევროპის ვიცე-ჩემპიონი დავით მარგოშვილი (66 კგ) და დავით ქევხიშვილი გავლენ, ხოლო ტურნირის ბოლო დღეს ევროპის ჩემპიონი ნესტორ ხერგიანი (60 კგ) და აბსოლუტურ წონაში მოასპარეზე რამაზ ჩოჩიშვილი იჭიდავებენ.

ოთარ გაღლაკელიძე

კაცები

100 კგ

1. **კოსეი ინუ (იაპონია)**
2. **ჟისლენი ლემერი (საფრანგეთი)**
3. **მარიო ჟუნიორ საბინო (ბრაზილია)**
3. **იგორ მაკაროვი (ბელარუსი)**

+100 კგ

1. **იაუიკი მუნეტა (იაპონია)**
2. **დენის ვან დერ გესტი (ჰოლანდია)**
3. **ევგენი სოტნიკოვი (უკრაინა)**
3. **ტამერლან ტმენოვი (რუსეთი)**

REUTERS ოსაკიდან

100 კილოგრამის ჩემპიონს, იაპონელ კოსეი ინუს მესამე რაუნდში ესპანელი ივან ვეგა შემოემარცხა

ლარიონოვი გრძელდება

ცხოვრება გრძელდება! ლიგის ყველაზე უხუცესი მოთამაშე იგორ ლარიონოვი, რომელსაც დეკემბერში 43 წელი უსრულდება, პენსიაზე გასვლას არ აპირებს. უბერებელი „პროფესორი“ კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივებს ნჰლ-ურ კარიერას (ეს მე-14 სეზონია მისთვის). არ იფიქროთ, დეტროიტს იგი ატლანტაში ან ფლორიდაში გაეშვას. მომდევნო ჩემპიონატს ლარიონოვი... თასის მფლობელ ნიუ ჯერსიში გაატარებს. დიახ, რუსის ოსტატობა და გამოცდილება დღესაც ძალიან ფასობს. იგორს თითქოს წინა სეზონის შემდეგ უნდა დასრულებინა კარიერა, მაგრამ დეტროიტი რომ თასის პირველივე წრიდან გავარდა, გადაიფიქრა, თასის მოგების სიხარული კიდევ ერთხელ უნდა განეცადოო. ნიუ ჯერსის გენერალურმა მენეჯერმა ლუ ლამორელმა კი წაიტრაბახა, სწორედ ასეთი დონის მოთამაშეს ვეძებდით და ვიპოვეთ კიდეცო.

40-ს გადაცილებული ჰოკეისტის შესაძლებლობაში ვინც დაეჭვდება, მათ შევახსენებთ, რომ წინა პირველობაში იგორმა 74 მატჩში 10 გოლი და 33 პასი მითვალა. ურიგოა?! ლარიონოვზე ორი თვით უმცროსმა, არანაკლებ სახელოვანმა ვეტერანმა მარკ მესიემ კი ამას წინათ რეინჯერსთან გააფორმა ერთწლიანი კონტრაქტი და ლიგაში 25-ე (!) სეზონს გამართავს.

სამველ ღარიბიანი

რივალდო და რივალდინიო

ფოტოზე მარცხნივ აღბეჭდილ კაცს წარდგენა არ სჭირდება — ფეხებდაბრეცილ ბრაზილიელ ჯადოფეხბურთელ რივალდოს ვინ არ იცნობს. აი, აქეთ რომ შავტუხა ბიჭუკელა ბურთთან ფეხით გაალერსებას ცდილობს, მისი ვინაობა კი ნაღდად არ გეცოდინებათ. ეგ რივალდოს ვაჟი რივალდინიოა და ფოტოობიექტივმა მამასთან ერთად მაშინ ჩაავლო, ბრაზილიელები 2006 წლის მსოფლიო პირველობის მორიგი საკვალიფიკაციო მატჩისთვის რომ ემზადებოდნენ. ის მატჩი მანუსში შედგა და ბრაზილიამ ეკვადორს 1:0 აჯობა.

REUTERS მანუსიდან

REUTERS ფრანკფურტიდან

აი ეი ეი

აი ეი ეი — ფრანკფურტის განთქმული ძრავოსან-ბორბლოსნობა 13 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე გაიმართება. მსოფლიოს უბობოლესი მანქანათმწარმოებელნი იქ თავიანთ უახლეს მოდელებს გამოფენენ. შოუს გახსნამდე იქ მეფორმულერთე ხალხსაც შეუვლია — მიხაელ შუმახერი „ფიატ პანდას“ ღირსებებს ამოწმებს, კიმი რაიკონენი და ალექს ვურცი კი გაფაციცებით უსმენენ „მერსედეს ბენცის“ მთავარაღმასრულებელ იურგენ ჰუბერტს.

REUTERS ფრანკფურტიდან

REUTERS იუნანიდან

ისევ თამაშები

ჩინეთის ქალაქ ინჩუანში დაიწყო ეთნიკური თამაშები, რომელშიც ჩინეთის 56 ეროვნული უმცირესობის 4000 წარმომადგენელი მონაწილეობს სულ ნაირგვარ ეროვნულ თამაშებში. „ია ეია“ ისეთი შეჯიბრია, როცა ორი კაცი ყელზე ჩამოცმული და ფეხებშუა გატარებული თოკის გადაჭაჭვას ლამობს. საქანელაზე შემჯდარი გოგოები კი ცდილობენ, თავიანთი ზურგებით რაც შეიძლება მეტჯერ შვეხონ ზარებს და ათ წუთში ვინც მეტჯერ დარეკს ზარს, მოგებულიც ის იქნება.

REUTERS იუნანიდან

REUTERS კიევიდან

ორმაგი დარტყმა

უკრაინელ მძიმეწონოსან მოკრივეებს — ამას წინათ ლენოქს ლუისისაგან გვემულ ვიტალისა და მის ძმა ვლადიმირს წიგნი გამოუციათ. წიგნი ძმების გამორჩეულ სასპორტო გარჯასა და მიღწევებზე მოგვითხრობს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროფჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ნათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული პერსია
http://www.sarbieli.com.ge